ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ცხინვალში დიდი ბრიტანეთის აგენტი გამოავლინეს

გვ.2



შაბათი – კვირა, 27 – 28 ივნისი, 2015

1148 (6768)

აფცბ5 №) სტსჰბ

# დავით ნარმანიას წყალი შეუდგა?



თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებები დაიწყო გვ.2

## ალეკო შალამბერიძე: „დომენტი სიჭინავამ მთელი პარლამენტი ოჩერედში“ დააყენა“

გვ.5



რატომ უნდა დაიბარონ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პარლამენტში



## ხალიფატი საქართველოს საზღვრებთან

გვ.3

„ისლამური სახელმწიფო“ და იმარატ კავკასია ერთმანეთს დაუპირისპირდებიან?

## პაატა იმნაძე: სასმელ წყალთან დაკავშირებით საფრთხე არ არსებობს“

გვ.3





## ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხის ასაცილებლად საზღვრების კონტროლია საჭირო“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „აშშ-ს ჩვენი პრობლემები მუდმივად უნდა შევახსენოთ“



ISSN 1987-9385

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: 13-14 ივნისის მოვლენები პროკურატურამ უნდა გამოიძიოს“

გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: პროკურატურის ზოოპარკში შესვლა გაუგებარია“

გვ.7



„ადამიანები ყოველთვის განტევების ვაცს ეძებენ“

# დავით ნარმანიას წყალი შეუდგა?

## თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებები დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

**„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ხელისუფლება დავით ნარმანიას საქმიანობით უკმაყოფილოა და მას კატეგორიული გაფრთხილებაც მისცეს. თბილისში მომხდარი სტიქია რომ არა, თბილისის საკრებულოს უმრავლესობის რამდენიმე წევრს, შესაძლოა, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც კი დაეყენებინა.**



ამ ტრაგედიამ ნარმანიას პოზიციები ოდნავ გაუმყარა, თუმცა დამშვიდების უფლება მას მაინც არ აქვს.

მერიაში ყველაფერი რიგზე რომ არაა, ამაზე იქ განხორციელებული საკადრო ცვლილებებიც მეტყველებს. 26 ივნისს ცნობილი გახდა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსმა, ირაკლი ბერეკაშვილმა, პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა.

როგორც მერიაში განმარტავენ, ის მუშაობას თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრში გააგრძელებს.

— ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსჯელობა, თუ ვინ დაიკავებს ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობას. შერჩეულ კანდიდატურას დედაქალაქის მერია შესაბამისი პროცედურების დაცვით, დასამტკიცებლად თბილისის საკრებულოს წარუდგენს, რომლის თანხმობის შემდეგაც მოხდება მისი ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნა, — აცხადებენ მერიაში.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობა თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემაც დატოვა.

ამ ინფორმაციას ნარმანიას სამწყსოში კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, სუდაძე თავის თანამდებობაზე რჩება.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია მერიაში არსებულ დაპირისპირებაზე ამახვილებს ყურადღებას. 26 ივნისს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს კი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

მისი განცხადებით, დაბალ და საშუალო რგოლებში საკადრო გადაადგილებებს მნიშვნელობა არ აქვს.

— საკადრო გადაადგილებები დაბალ და საშუალო რგოლებში საქმეს რომ შველოდეს, დედაქალაქი ამ სტაგნაციაში არ აღმოჩნდებოდა. უკანასკნელ პერიოდში არაერთი გადაადგილება მოახდინეს და ვითარება მხოლოდ უარესდება. ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან უკეთესით არ ხდება ჩანაცვლება, — განაცხადა „პირველ რადიოსთან“ საუბარში ნიკა მელიამ.

მისი თქმით, დედაქალაქის მერიას დღეს 2 მთავარი პრობლემა აქვს:

— ეს არის არასაკმარისი კომპეტენციის მქონე ხალხი მაღალ თანამდებობებზე და მეორე, ამ თანამდებობის პირთა შორის გაუთავებელი, გაჩაღებული შიდა დაპირისპირებები, რაც უარყოფითად აისახა თბილისზე, — აცხადებს მელია.

მელია დარწმუნებულია, რომ მერიაში დაპირისპირებები მომავალშიც გაგრძელდება.

— ამ დაპირისპირებების აღმოფხვრის ნულოვანი შანსია, რადგან ეს არის ბიძინა ივანიშვილის მართვის სტილი და სანამ ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფოს მართვის ბერკეტები ხელთ უპყრია, გინდა სუდაძე დანიშნე კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად და გინდა ლონდონის მერი ბორის ჯონსონი მთელი თავისი ბიუჯეტით, შედეგები მაინც იგივე იქნება. ამიტომ, არანაირი მნიშვნელობა ამ გადაადგილებებს არ აქვს. პირიქით, სამწუხაროდ, პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ვითარება უარესდება, — ამბობს მელია.

საკრებულოს კულუარებში ნარმანიას მისამართით უკვე ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას და თუ არჩევნებამდე ქალაქი ქალაქს ცოტა მაინც არ დაემსგავსა, მაშინ დიდი შანსია, მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგეს.

ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ზევით. ზევით კი მისი საქმიანობით უკმაყოფილო არიან.

ეს უკმაყოფილება ცოტა ხნის წინ კიდევ გაიზარდა. „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოსვლისას ნარმანია გაცხარდა და სტუდიის დატოვებით დაიმუქრა. ამას ზევით უარყოფითად შეხვდნენ. როგორც „ქრონიკა “-ის მთავარი რედაქტორი აცხადებს, ამის შემდეგ ნარმანიას ღამის ეთერში გამოსვლა აუკრძალეს.

— როგორც ვიცით, ნარმანიას დაურეკეს, სიმშვიდისკენ მოუწოდეს და კატეგორიულად აუკრძალეს ღამის ეთერებში მისვლა. რასაც ნარმანიას მხრიდან ძალიან მძაფრი რეაქცია მოყვა, — აღნიშნავს კილაძე.

მისი თქმით, ნარმანიამ უდიერი სიტყვებით მოიხსენია მთავრობის ადმინისტრაცია. ზარის ავტორებს კი შეახსენა, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული მერი.

სანამ ნარმანია არჩეული მერის სტატუსით იწონებს თავს, მის გარშემო სკანდალი სკანდალზე გორდება.

მას შარი, შესაძლოა, 13-14 მაისს დატრიალებული ტრაგედიის ამბავშიც დასდონ. რამდენიმე დღის წინ, გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა, რომ ამინდის გაუარესების შესახებ ინფორმაცია თბილისის მერიასაც მიაწოდა.

ნარმანიას უწყებას პრეტენზიებს ყველაზე ხშირად პრემიების სიყვარულის გამო უყენებენ. მას გაუმართლებელი ხარჯების გამოც საყვედურობენ. მართალია ნარმანიას გიგი უგულავას რეკორდი არ გაუუმჯობესებია, მაგრამ წარმატებები მასაც აქვს.

ოფიციალური საჯარო ინფორმაციის თანახმად, თბილისის მერია საკანცელარიო ნივთებს რეგულარულად ყიდულობდა. როგორც პორტალი ნსპ.გე იუწყება, ამ მიზნით უწყებამ გასულ წელს 121.89 ლარი დახარჯა. აქედან 61.00 ლარი მერიის ბიუჯეტიდან ერთ თვეში, ივლისში დაიხარჯა.

უწყების ინფორმაციით, ამ კუთხით, სხვა თვეებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ხარჯი იყო დეკემბერშიც. 2014 წლის ბოლოს მერიის ადმინისტრაციამ 21.17 ლარის ღირებულების საკანცელარიო ნივთები შეიძინა.

ამ ამბავში ნარმანიას დიდი ცოდვა არა აქვს. როგორც უკვე ვთქვით, უგულავას რეკორდი არ მოუხსნია, მაგრამ საკანცელარიო ნივთები მასაც ყვარებია. ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ ნარმანიას უწყებამ გასული წლის ოქტომბერში საკანცელარიო ნივთების შესაძენად 8.456 ლარი დახარჯა.

# ცხინვალში დიდი ბრიტანეთის აგენტი გამოავლინეს

შორენა მარსაგიშვილი

**სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურში დიდი სიხარული და ჟრიამულია. ადგილობრივი მედიის ცნობით, მათი უსაფრთხოების დარაჯებმა დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტი გამოავლინეს.**



დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტობაში ლარისა სოტიევაა ეჭვმიტანილი. ოსური მედიის ცნობით, ის დიდი ბრიტანეთის და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეა.

„სპუტნიკ ოსეტიას“ ინფორმაციით, ლარისა სოტიევა სამხრეთ ოსეთში ახორციელებდა პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობდა რუსულ-ოსური ურთიერთობების დისკრედიტაციას.

სოტიევა ორგანიზაცია Інტერნატიონალ ლერტ-ის პროგრამა „ევრაზიის“ თანამშრომელია, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სასწავლო და სოციალურ პროექტებს ახორციელებს.

ოსმა ჩეკისტებმა დიდი ბრიტანეთის დაზვერვის უკან, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული კვალი შენიშნეს.

— სოტიევა გეგმავდა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი ექსპერტების საქმიანობის ინიცირებას, რომლებიც მზად არიან, შეხვდნენ საქართველოს წარმომადგენლებს და მიიღონ მონაწილეობა პროგრამებში, რომლებიც უარყოფენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, — აღნიშნულია ე.წ სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

სანამ ოსური უშიშროება აგენტების გამოვლენით არის დაკავებული, მაურო მურჯია რომის პაპს ცხინვალის აღიარებას სთხოვს.

მაურო მურჯია იტალიის რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი გახლავთ. ცოტა ხნის წინ ის აფხაზეთს წარმოადგენდა ოფიციალურად.

მაურო მურჯია რომის პაპთან გამართული შეხვედრის შესახებ ინფორმაციას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

— უმაღლესი პონტიფიკოსის მიერ გამოხატული კეთილი ნების საფუძველზე, ჩვენ მოგვეცა საშუალება მასთან შევხვედრის. მიუხედავად შეხვედრის მცირე დროისა, ჩვენ შევძელით მისთვის ხელში გადაგვეცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსისა და საერთაშორისო აღიარებისაკენ მისი სამართლიანი მისწრაფების შესახებ დოკუმენტაცია. გაცნობიერებთ რა არსებული სიტუაცის მრავალ სირთულეს და საერთაშორისო ზეწოლას, რომელიც მიმართულია სამხრეთელი ოსი ხალხის ამ მისწრაფებისკენ, ჩვენ მოუთმენლად ველით წმინდა მამის სიტყვას, — წერს აცხადებს მაურო მურჯია.

# ნაცმოძრაობა შესაძლოა კიდევ ერთმა ფრთამ დატოვოს

მომავალ კვირაში ყოფილი მმართველი პარტიის დატოვებას, მისი კიდევ ერთი ფრთა გეგმავს.

როგორც საინფორმაციო-შემეცნებით პორტალ ნსპ.ს ნაციონალური მოძრაობის შიდა საზარეულოში ჩახედულმა ამავე პარტიის ყოფილმა და ახალი მთავრობის ერთ-ერთმა მოქმედმა წევრმა განუცხადა, ამჯერად პარტიის დატოვებას დეპუტატი გიორგი ვაშაძე თავის თანამოაზრეებთან ერთად გეგმავს.

წყაროს განცხადებით ვაშაძეს პარტიაში თანამოაზრეთა საკმაოდ სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავს და ისინი, სავარაუდოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე დამოუკიდებლად ბრძოლას დაიწყებენ.

— ვაშაძეს საკუთარი თანამოაზრეები აღიქვამენ როგორც საქმის გამკეთებელ პიროვნებას, რომელსაც აქვს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სათანადო კონტაქტები და გარდა ამისა, ფინანსების მოძიებაც შეუძლია, — განაცხადა წყარომ.

მისივე თქმით, ვაშაძე პრაქტიკულად იძულებულია რომ „ნაცმოძრაობიდან“ წამოსვლის შესახებ განცხადება ღიად გააკეთოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას თანამოაზრეები შემოეფანტებიან.

საინფორაციო-შემეცნებით პორტალ ნსპ.ს ინფორმაციით, ვაშაძე და მისი გუნდი პარტიიდან წამოსვლის შესახებ განცხადებას მომავალ კვირაში, კონკრეტულად კი 4 ივლისს გააკეთებენ.

ნსპ.გე

# თინა ხიდაშელი აშშ-ის თავდაცვის მდივნის ასისტენტს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი ბრიუსელში საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის ასისტენტს ელისა სლოტკინს შეხვდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე თავდაცვის კუთხით ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მომავალ წელს ვარშავაში დაგეგმილ ნატოს სამიტზე საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების პერსპექტივაზე. ამერიკულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

საუბარი შეეხო საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობის საკითხსაც. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო, ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიებში, ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის უმსხვილესი კონტრიბუტორია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ნიუსპრესი

# ბრიტანეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს

ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები განიხილეს საქართველოსა და ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებმა ბრიუსელში. შეხვედრა ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ორმხრივი შეხვედრის ფორმატში, ბრიტანეთის თავდაცვის მდივანმა, მაიკლ ფელონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი მხარს უჭერს საქართველოს ამბიციას გაწევრიანდეს ნატოში.

მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების საკითხებიც განიხილეს. როგორც თინათინ ხიდაშელმა აღნიშნა, ნატოს წევრი და არაწევრი ქვეყნების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია და საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მაპი მიიღოს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ხალიფატი საქართველოს საზღვრებთან

## „ისლამური სახელმწიფო“ და იმარატ კავკასია ერთმანეთს დაუპირისპირდებიან?

მარიამ მჭედლიშვილი

**ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პროვინციის, ანუ წარმომადგენლობის გახსნას საქართველოს ძალოვნები უკვე გამოეხმაურნენ.**

შს მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმაც განაცხადეს, რომ საქართველო მიიღებს ზომებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

— ჩვენ ისედაც ვმუშაობდით როგორც „ისლამური სახელმწიფოს“, ისე იმარატ კავკასიის მიმართულებით, — აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერად ჩრდილოეთ კავკასიაში დასახელებულია დაღესტნელი „ბოევიკების“ მეთაური აბუ-მუჰამადი, იგივე რუსტამ ასილდეროვი.

ქართველი ექსპერტების ვარაუდით, ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ჩრდილოკავკასიელები შეიძლება აღარ წავიდნენ ახლო აღმოსავლეთში და დავალებები აქვე, კავკასიაში შეასრულონ.

ჯერჯერობით მთელი ჩრდილოეთ კავკასია ხალიფატის გამგებლობაში არ არის. სირია-ერაყში ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ დაღესტნიდანაა წასული. სხვა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან ასეთი გადინება არ ყოფილა. გარდა ამისა, იმარატ კავკასია დაშლილი არ არის და ტერორისტული მიდრეკილებების მებრძოლები იქ არიან რეალიზებული. არ შეესაბამება სიმართლეს განცხადება, თითქოს იმარატ კავკასიის ყველა მებრძოლი ხალიფატში გადავიდა. ბევრი იმარატელი საერთოდ ტყეშია გახიზნული და ინტერნეტით გავრცელებულ რგოლებსა და ინფორმაციებს თვალს არ ადევნებს.

რა მთავარი განსხვავებაა „ისლამურ სახელმწიფოს“, იგივე ხალიფატსა და იმარატ კავკასიას შორის?

ექსპერტებს ამაზე ასეთი შეხედულება აქვთ — თუ კავკასიის იმარატი სპეციალიზებულია ტერორზე ძალოვნების მიმართ, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორი ტოტალური და სასტიკია.

იმარატ კავკასიის შექმნა უკავშირდება იჩქერიის არაღიარებული პრეზიდენტის, დოკუ უმაროვის სახელს. მან უარი თქვა პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე და თავი კავკასიის მოჯახედების ამირად გამოაცხადა.

ბოლო პერიოდში გავრცელდა ვიდეო რგოლი, რომელზეც ასახულია კავკასიელი „ბოევიკების“ ფიცის დადება. ისინი ერთგულებას ეფიცებიან „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურს, ალ-ბაღდადის. ვიდეო რგოლი ანონიმურ მიმართვასაც შეიცავს. ესაა მოწოდება ფიცის დადებისაკენ. გავრცელებული ინფორმაციით, აბუ-ბაქარ ალ-ბაღდადს ერთგულება კავკასიის იმარატის ოთხი ვილაიეთის მებრძოლებმა შეჰფიცეს. მათ შორისაა ჩეჩნეთის თვითმკვლელი ბატალიონის მეთაური ასლან ბიუტუკაევი. ვრცელდება აუდიოჩანაწერებიც, რომლებშიც ყველა მუსლიმანს მოუწოდებენ, ერთგულების ფიცი დადონ ხალიფას წინაშე.

„ისლამურმა ხალიფატმა“ ჩრდილოკავკასიელების ფიცი მიიღო და გამოაცხადა, რომ რეგიონში თავის განყოფილებას ქმნის. საქართველოს ძალოვნები სწორედ ამას გამოეხმაურნენ.

კავკასიელი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ორ ტერორისტულ დაჯგუფებას შორის შეიძლება დაპირისპირებაც დაიწყოს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რა გავლენა აქვს ამა თუ იმ მონაკვეთზე.

ახმეტ იარლიკაპოვის აზრით, ფიცის ამსახველ ვიდეოს პროპაგანდისტული მიზანი აქვს. ის გათვლილია რადიკალურად განწყობილ მუსლიმ ახალგაზრდებზე, რომლებიც უნდა დაარწმუნონ ხალიფატის უძლეველობასა და კავკასიური იმარატის უუნარობაში.

— სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან დინამიურად ვითარდება. ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, რომ რაიმეს პროგნოზირება შეუძლებელია, — აღიარებს ექსპერტი.

ორხან ჯემალის შეფასებით, იმარატ კავკასიის დღევანდელ მეთაურს, სულეიმანოვს, დიდი ავტორიტეტი აქვს, განსაკუთრებით, უფროსი თაობის კავკასიელებში. ექსპერტი შიშობს, რომ შეიძლება მოხდეს არა „ბოევიკების“ გადინება ან შემოსვლა, არამედ, ჩრდილოეთ კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ უსასტიკესი მეთოდების გადმოტანა.

— ფიცის დადებაზე არაფერი უთქვამს სულეიმანოვს. ეს გასაგებია. მის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ტარდება. დაიხურება თუ არა იმარატ კავკასია? არ ვიცით. ამ ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობები დაძაბულია, — აცხადებს ალექსანდრ ჩერკასოვი.



ახმედ იარლიკაპოვი

იმარატ კავკასიას არაერთი ტერორისტული აქტი აქვს მოწყობილი. მათ შორის, თვითმკვლელების მონაწილეობით.

მაგალითად, 2014 წლის 5 ოქტომბერს გროზნოში თვითმკვლელმა თავი აიფეთქა პოლიციელების ჯგუფთან ერთად. ამის შედეგად დაიღუპა შს სამინისტროს 5 თანამშრომელი, 13 კი მძიმედ დაშავდა. თვითმკვლელის ვინაობა დადგინდა. იგი აღმოჩნდა 19 წლის გროზნოში მცხოვრები აპტი მუდაროვი.

2013 წლის 30 დეკემბერს ვოლგოგრადში დაუდგენელმა თვითმკვლელმა აფეთქება მოაწყო ტროლეიბუსში. ამის შედეგად დაიღუპა 10 და დაშავდა 23 კაცი.

ახლა საქართველო ახალი საფრთხეების წინაშე დგას. კავკასიის გათავისუფლების პირობას ხალიფატის ბელადები ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში იძლეოდნენ. იმედია, ისინი თავიანთ მუქარას ჩვეული მეთოდებით მთელ კავკასიაში არ აასრულებენ.

ნათია ხურცილავა

# ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხის ასაცილებლად საზღვრების კონტროლია საჭირო“

## თორნიკე შარაშენიძე: „აშშ-ს ჩვენი პრობლემები მუდმივად უნდა შევახსენოთ“

**დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ რამდენიმე დღის წინ განცხადება გააკეთა.**

უკვე ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარისკაცებმა კავკასიაში ხალიფასადმი ერთგულების ფიცის დადეს.

რა საფრთხე შეიძლება უკავშირდებოდეს „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენას ჩრდილოეთ კავკასიაში? რამდენად შეიძლება ეს პრობლემა შეეხოს საქართველოს და როგორი უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურების რეაქცია? ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე საუბრობს.

***— ბატონო თორნიკე, „ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიაში საკუთარი სახელმწიფოს დაარსების შესახებ განცხადება გააკეთა. გასაგებია, რომ პრობლემა გლობალურია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია?***

— რასაკვირველია, ეს არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ერთი ქვეყანა გაუმკლავდეს. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას და როგორი უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლების, შესაბამისი სტრუქტურების ადეკვატური ნაბიჯები, პირველ რიგში, ერთიანი და ჩამოყალიბებული გეგმა უნდა არსებობდეს და მეორე — ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრების მკაცრი კონტროლი.



***— რამდენად შეძლებს სახელმწიფო საზღვრების კონტროლს, რომ არ შემოაღწიოს რაიმე ფორმით „ისლამურმა სახელმწიფომ“?***

— თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვითა და გამოყენებით საზღვრების რეალური და სრულფასოვანი კონტროლი შესაძლებელია.

***— შეიძლება თუ არა, რომ საზღვრების კონტროლი უფრო გლობალურად, პარტნიორი სახელმწიფოების დახმარებით მოხდეს?***

— არა, სახელმწიფო საზღვრები ჩვენმა მესაზღვრეებმა უნდა გააკონტროლონ. ამ პროცესში სახელმწიფო უნდა იყოს ჩართული და საფრთხეების თავიდან აცილების, პრევენციის ყველა ღონისძიება უნდა დასახოს. საზღვრების კონტროლი ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი და მათი გაკონტროლება სრულიად შესაძლებელია.

***— ბატონო თორნიკე, პრობლემა ხომ ძალიან ღრმაა, იდეოლოგიური, რელიგიური მოტივაციითა განპირობებული მათი საქციელი, სუნიტები უპირისპირდებიან შიიტებს, მაგრამ როგორ უნდა აღუდგეს ამას წინ ცივილიზებული დასავლეთი?***

— პრობლემა გასაგებია, რომ ძალიან ღრმაა, რაც გამოწვეულია როგორც რელიგიური, ისე იდეოლოგიური მოტივაციებით, მაგრამ მათ რეალურად კონფლიქტი აქვთ ერთმანეთში შიგნით. არაერთ ლიდერს გამოუთქვამს უკმაყოფილება ირანის შიიტთა გავლენის გაზრდის გამო ახლო აღმოსავლეთში. ირანი ამ მიზეზით ბევრჯერ იქნა გაკრიტიკებული. თეირანის სწრაფვა, რეგიონალური გავლენის მქონე სახელმწიფო გახდეს, თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ეს მოვლენების შემდგომ განვითარებაზეც იქნება დამოკიდებული. პრობლემა ბუნებრივი და მასშტაბურია, ამიტომაც აშშ და ევროპა ამ პრობლემას რეალურად აცნობიერებენ. თუმცა, მთავარი არის ქმედება. საუბარია ორ იდეოლოგიას შორის ბრძოლაზე. შეიძლება ეს იყოს კეთილისა და ბოროტის ბრძოლაც, მაგრამ ასე მითოლოგიზაციას არ მოვახდენდი, რადგან საფრთხე მაინც ხელშესახებია და ტერორიზმი კონკრეტული ადამიანების სიცოცხლის ხელყოფას ეხება.

***— აშშ და ნატო რაიმე ახალ სტრატეგიას გეგმავენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ, თუ ეს იმდენად საიდუმლოა, რომ ამაზე ღია დისკუსია არ ხდება?***

— ამ ეტაპზე ჩვენ ვხედავთ, რომ აშშ და ნატო საჰაერო თავდაცვის სისტემას აძლიერებენ. 21-ე საუკუნის პრობლემა არის ტერორიზმი და მასზე პასუხიც 21-ე საუკუნის ადეკვატური უნდა იყოს, ვგულისხმობ თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების გამოყენებას. როგორც ვხედავთ, სახმელეთო ოპერაცია განახორციელეს, ჰაერიდან ესვრიან. ნატო თავისი წევრი სახელმწიფოების თავდაცვაზეა ორიენტირებული. ნატოს გენერალიტეტმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში საზღვრების დაცვას სერიოზული ყურადღება ექნება დათმობილი. ეს მიმართული იქნება ყველა ტიპის საფრთხის წინააღმდეგ, ეს იქნება რუსეთის ფედერაციის თუ „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან მომდინარე. მთავარია, ნატომ თავისი ქოლგის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების უსაფრთხოება დაიცვას სათანადოდ და სწორედ ამას აკეთებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

***— აშშ პოლონეთში ანტისარაკეტო სისტემებს, რადარებს დააყენებს?***

— დიახ, დააყენებს. ეს გარდაუვალია.

***— საქართველოზე რა შეგიძლიათ გვითხრათ, აშშ-ის ყურადღება შეიძლება გაიზარდოს, რადგან „ისლამური სახელმწიფო“ კავკასიას მოუახლოვდა?***

— აშშ ყურადღებას, ცხადია, გაამახვილებს, რომ არაფერი გამოეპაროს რეგიონში და მოვლენები აკონტროლოს, მაგრამ ჩვენც უნდა ვიმუშაოთ სათანადოდ, ჩვენც უნდა დავაყენოთ ჩვენი პრობლემა მუდმივად, რომ აქტუალობა არ დავკარგოთ ამერიკის თვალში. ჩვენი გაჭირვება უნდა შევახსენოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს მსოფლიოში იმდენი პრობლემაა, რომ თუ მუდმივად არ შეახსენებ თავს, შეიძლება დაგვივიწყონ. ეს ალბათ ძნელი იქნება, მაგრამ მაინც საჭიროა მუდმივი შეხსენება.

***— მუდმივად უნდა ვიყოთ დღის წესრიგში?***

— რასაკვირველია და ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოებია გასაწევი.

# ბესიკ ალადაშვილი: საქართველოში აგრესიული რელიგიური მოძრაობებისთვის ნოყიერი ნიადაგია“



სპეცსამსახურის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის თავმჯდომარის ბესიკ ალადაშვილის განცხადებით, საქართველოში რამდენიმე სენსიტიური რეგიონია, სადაც აგრესიული, რელიგიური მოძრაობებისათვის საკმაოდ ნოყიერი ნიადაგია.

მისი თქმით, საქართველო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერებაში უნებლიედ მონაწილეობს და ამას ხელს ვერავინ უშლის.

ამის შესახებ ცენტრის თავმჯდომარემ „სპუტნიკ-ჯორჯიასთან“ საუბრისას განაცხადა.

**ბესიკ ალადაშვილი:**

— ვხედავთ, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ათეულ ადამიანი ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძვის. ეს ტერორისტული ორგანიზაცია და მათი საქართველოს ტერიტორიიდან მებრძოლებით გაძლიერება, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლების უნებლიედ ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ჯერ რეალურ წინააღმდეგობას ვერ უწევენ.

მისივე თქმით, ეს პრობლემა საქართველოს ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროიდან მოყოლებული აქვს და მისი მოგვარება დღემდე ვერ მოხერხდა.

ნიუსპრესი

# იენს სტოლტენბერგი: საქართველოში ვიზიტს მოუთმენლად ველი

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ალიანსი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მხარს უჭერს.

მისივე თქმით, ნატო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

— ეს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ნაწილია. ჩვენ საქართველოსთვის ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული მხადაჭერის აღმოჩენას განვაგრძობთ. გვაქვს გაძლიერებული პაკეტი. ვმუშაობთ ბევრ განსხვავებულ სფეროში, რათა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოდერნიზებაში დავეხმაროთ, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

სტოლტენბერგმა ეს ბრიუსელში, უკრაინის თავდაცვის მინისტრთან სტეფან პოლტორაკთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოში ვიზიტს ვგეგმავს, თუმცა, კონკრეტული თარიღი ჯერ არ იცის.

— ვგეგმავ საქართველოში ვიზიტს. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, მაგრამ აუცილებლად ვეწვევი საქართველოს. მინდა გითხრათ, რომ მოუთმენლად ველი ამ ვიზიტს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: 13-14 ივნისის მოვლენები პროკურატურამ უნდა გამოიძიოს“

გულიკო ბალაძე



## ინტერვიუ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

*— ბატონო დიმიტრი, ვერეს ხეობაში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით თქვენი შეფასებები როგორია? მოგეხსენებათ, ზოგი ხელისუფლებას უუნარობაში სდებს ბრალს, ზოგი ამბობს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა.*

— სტიქიური უბედურებების შედეგები არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გამოვიდეთ სამართლებრივი შეფასების ასპექტიდან და მომხდარის როგორც ლიკვიდაცია, ასევე არსებული პრევენციული მოქმედებები, რომელიც კანონით იქნა დადგენილი, განსაზღვრული და არ შესრულდა, განხილული უნდა იქნას მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. საზოგადოება არის უაღრესად დაზაფრული და ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ მყოფი საზოგადოების კიდევ უფრო დაზაფვრა გარკვეული პოლიტიკური წიაღსვლებით, არ იქნება სწორი და რეალური შედეგების მდარე ხარისხის გამოხატულება იქნებოდა. ამ შემთხვევაში უნდა გამოვკვეთოთ როგორც მოქმედი ხელისუფლების, ისე წინა ხელისუფლების მიმართ არსებული პასუხისმგებლობა იმ სამართლებრივ სტილში, რასაც ჩვენი კანონმდებლობა იძლევა. სამწუხაროდ, ფართო მსჯელობის საგანი დღემდე არ გამხდარა „საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც პარლამენტმა ახალი ხელისუფლების პირობებში მიიღო. მას 2014 წლის 29 მაისს მოაწერა ხელი პრეზიდენტმა მარგველაშვილმა. ამ კანონის წინაშე დგას საკითხი საგანგებო სიტუაციების მართვის უწყვეტობისა და მისი ოპერატიულობის თაობაზე 24-საათიან რეჟიმში.

*— „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონი“ 2014 წლამდე არ არსებობდა?*

— 2014 წლამდე ასეთი კანონი არ არსებობდა. ტექნოგენურ გამოწვევებთან დაკავშირებით კანონი იყო, მაგრამ პირდაპირ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონი აქამდე არ ყოფილა. ეს არის პირველი კანონი, რომლის აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის ნაწილისა და არც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ჩვენ არანაირი შეფასებები და კომენტარები არ მოგვისმენია.

*— კანონი მიიღეს, მაგრამ სტრუქტურები, რომ აღნიშნული კანონი აღსრულებულიყო, შექმნილი არ ჰქონდათ?*

— სტრუქტურები შექმნილია.

*— შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში მუნიციპალური საფრთხეების პასპორტიზაცია, კონკრეტულად, ვერეს ხეობის საფრთხის პასპორტიზაციაც უნდა მომხდარიყო. ამასთანავე, ალბათ, უნდა ყოფილიყო ის დანადგარები, რომლებიც ამ საფრთხის შესახებ პროგნოზირებისთვის იქნებოდა საჭირო. კანონის მიღების შემდგომ პერიოდში მოესწრებოდა თუ არა ამის გაკეთება?*

— რა თქმა უნდა, ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარება მაღალტექნოლოგიური დანადგარების პროცესში ჩართვას მოითხოვს. ბუნებრივია, ეს საბიუჯეტო სახსრებთან არის პირდაპირ კავშირში. ამის განვითარება ჯერ კიდევ იმ სტიქიური უბედურებების ფონზე უნდა მომხდარიყო, რომელიც ამ წლების განმავლობაში განიცადა თბილისმა, მაგრამ მუნიციპალური საფრთხეების პასპორტიზაცია აბსოლუტურად განსხვავებული საკითხია. ეს ეხება კონკრეტულად რისკის ზონებს, რომლებიც ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდნენ დარტყმის ქვეშ სტიქიური უბედურებების დროს. თბილისში არის 22 მდინარე — ნაკადული, მათი შესართავებით. ამიტომ ასეთი პასპორტიზაცია მხოლოდ სვანიძის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე კი არ უნდა განხორციელებულიყო, არამედ კრწანისის, ჩუღურეთის, გლდანისა და სხვა მიმართულებებითაც არის განსაზღვრული, მაგრამ სამწუხაროდ, უშუალოდ სამოქმედო-კრიზისული გეგმა მათთან დაკავშირებით არასოდეს დაწერილა.

*— როდესაც სტიქია მძვინვარებდა, მათ არ ჰქონდათ გეგმა, როგორ უნდა ემოქმედათ?*

— რა თქმა უნდა. მათ უნდა ჰქონოდათ გეგმა, რომელიც უნდა ყოფილიყო შეთანხმებული საფრთხეებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან და მოქმედება უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად კოორდინირებული. როდესაც ასე დრამატულად ვითარდება სიტუაცია, როდესაც პატარა მდინარე, ფაქტობრივად, ნილოსისხელა უზარმაზარ მდინარედ გადაიქცა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ბატონ პრეზიდენტს თავისი სათათბირო ორგანო, უშიშროების საბჭო უნდა აემოქმედებინა. უშიშროების საბჭო კოორდინაციაში უნდა ყოფილიყო პრემიერის სათათბირო ორგანოს საფრთხეებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან. განგაშით უნდა მოყვანილიყო მობილიზაციაში ჩვენი შეიარაღებული ძალები.

*— შს სამინისტროს კრიზისების მართვის დეპარტამენტს შეეძლო ვერეს ხეობაში ღვარცოფის წამოსვლის პროგნოზირება მოეხდინა მიუხედავად იმისა, რომ ამ ხეობაში არ არსებობდა ის მაღალტექნოლოგიური დანადგარები, აპარატურა? წინაპირობა არსებობდა იმისა, რომ მოეხდინათ პროგნოზირება და წინასწარი პრევენცია?*

— როდესაც თქვენ დანადგარებს ახსენებთ, ალბათ, პირველ რიგში, გულისხმობთ იმ მაღალტექნოლოგიურ ერთეულებს, რომლითაც უნდა განესაზღვრათ აკუმულირებული რაოდენობა იმ ნალექისა, რომელიც შესაძლოა თავს დასტყდომოდა მიწას, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, ამ საკითხს აქტუალობა ეკარგება იმის გამო, რომ სტიქიამ ფაქტის წინაშე დაგვაყენა თბილისში განვითარებულ მოვლენებამდე 2 საათით ადრე, როდესაც მიწა ჩამოწვა და, შესაბამისად, ადრეული შეტყობინების სისტემა უნდა ამოქმედებულიყო განგაშის სახით თბილისის მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებით, იმ ურბანული ქსოვილის მიმართ, სადაც სტიქიის ზონის ყველაზე უფრო მომატებული რისკები იყო აღმოსაჩენი. მათ შორის, მუნიციპალური უწყების პასპორტიზაციის დონეზეც, რაც კანონის მოთხოვნაა და არ შეასრულა შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტმა. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავმიჯნო ამ ვალდებულებისაგან ის თავგანწირვა, რომელიც გამოიჩინეს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საპატრულო პოლიციისა და შს სამინისტროს თანამშრომლებმა. ეს აბსოლუტურად ორი განსხვავებული კატეგორიაა. ჩვენ მათ მიმართ ქედს ვიხრით, გარდაცვლილი მაშველის მიმართ ქედს ვიხრით, მაგრამ 112-ის მენეჯმენტს ქედს ნამდვილად ვერ მოვუხრით, რომლებიც ვალდებული იყვნენ, ანალიტიკური სამსახურის დონეზე მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების შედეგების პრევენცია მოეხდინათ.

*— თუკი შესაბამისმა სამსახურებმა პირველივე საათებიდან იცოდნენ, რომ ჩამოწვა მეწყერი, ისიც ხომ უნდა განესაზღვრათ, რომ ჩამოწოლილი მეწყერი ამ მდინარის კალაპოტში ჩავიდოდა, რასაც შეიძლებოდა მდინარე გადაეკეტა, შემდეგ გამსკდარიყო და ღვარცოფად თავს დასტყდომოდა მდინარის ხეობაში განსახლებულ ადამიანებს? შეიძლება ვთქვათ, რომ უცოდინარობასთან, დაუკვირვებლობასთან გვქონდა საქმე? მიზეზი მაინც რა შეიძლებოდა ყოფილიყო?*

— მოგეხსენებათ, მდინარე ვერეს სიგრძე სულ 45 კილომეტრია. მეწყრის ჩამოწოლის წერტილიდან, გმირთა მოედნამდე, არის 22 კილომეტრი. 22-კილომეტრიანი მდინარის კალაპოტის პროექცია რომ გავაკეთოთ, დაახლოებით 800 მეტრია. იმ ადგილზე წარმოიშვა ხელოვნური დამბა, ანუ იმ მიწამ, რომელმაც გადაკეტა მდინარის კალაპოტი, ფაქტობრივად, წარმოშვა ბუნებრივი მიწაყრილიანი კაშხალი, რომელიც შემდგომში გადმოინგრა უდიდესი დინების ძალით და იქ აკუმულირებული წყლის მასა 800-მეტრიანი ნიშნულიდან პირდაპირ დაატყდა თბილისსა და გმირთა მოედანს. რა თქმა უნდა, მას ექნებოდა განსაკუთრებული წამლეკავი ძალა, წინასწარ წარმოუდგენელიც კი, მაგრამ ის ფაქტი, რომ მიწის ჩამოშლა და მდინარე ვერეს ხეობის გადახერგვა უეჭველად და უცილობლად გამოიწვევდა განსაკუთრებულ სტიქიურ უბედურებას, ეს, რა თქმა უნდა, წინასწარ განჭვრეტადი იყო.

*— რატომ ვერ განჭვრიტეს?*

— იმიტომ ვერ განჭვრიტეს, რომ მზად არ იყვნენ. არ იყვნენ მობილიზებული და პასუხისმგებელი პირები მოწოდების სიმაღლეზე არ იდგნენ. ამიტომაც უნდა დაიწყოს გამოძიება.

*— შეიძლება ვთქვათ, რომ შეგნებულ საბოტაჟს ჰქონდა ადგილი?*

— არ ვიცი, ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. ფაქტია, რომ შესაბამისი სამსახურები, რომლებსაც კანონი ავალდებულებს მოქმედებას, ოპერატიულ ვითარებაში ვალდებული იყვნენ განესაზღვრათ მეწყრის ჩამოწოლის შედეგად თბილისზე დამტყდარი უბედურების შედეგები. ვალდებული იყვნენ მოეხდინათ მოსახლეობის ევაკუაცია სარისკო ზონებიდან. როგორც მინიმუმ, უნდა გადაკეტილიყო უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალური ნაკადი გმირთა მოედანზე, აღარ შემოეშვათ მაგისტრალურ გზაზე მანქანები და სვანიძის ქუჩიდან, სოსისების ქარხნიდან და ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფრიდან ევაკუაცია მოეხდინათ. ეს იყო ელემენტარული მოთხოვნა, რომელსაც აყენებს არა დიმიტრი ლორთქიფანიძე, არამედ კანონი უყენებს იმ ადამიანებს, რომლებიც გადასახადების გადამხდელებისაგან იღებენ ხელფასს ამ მოქმედებების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. მათ ეს ვერ გააკეთეს. ამიტომ ამასთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას სტიქიური უბედურების განვითარების ვერ აღმოფხვრის მომენტიდან უნდა დაეწყო გამოძიება შესაბამისი მუხლებით.

*— თქვენ ბრძანეთ, „ოცნების“ ხელისუფლებამ კანონი მიიღო, მაგრამ შესაბამისმა სამსახურებმა გეგმა არ შეადგინეს. წინა ხელისუფლებას არც კანონი და არც არანაირი გეგმა არ ჰქონდა? მომხდარი უბედურების გამო წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე რას იტყვით?*

— წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ უნდა დაგვავიწყდეს. მდინარე ვერემ, ფაქტობრივად, გააშიშვლა პრობლემები, როგორც ახალი ხელისუფლების მოქმედებებთან დაკავშირებით, ასევე წინა ხელისუფლების ნამოქმედართან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მდინარე ვერეს ხეობაში უწყვეტი მაგისტრალური გზის მშენებლობას. აღმოჩნდა, რომ ამ გზის მშენებლობა იმგვარი დარღვევებით იქნა განხორციელებული, რომ დღესვე, დაუყოვნებლივ მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

*— უგულავას პასუხისმგებლობა დადგება?*

— არ მინდა პროკურორის ფუნქციები შევითავსო, მაგრამ ცხადია, რომ ამ გზის მშენებლობას პირდაპირ უწევდნენ კურირებასა და ლობირებას პრეზიდენტი სააკაშვილი და თბილისის მერი უგულავა და სხვა თანამდებობის პირები.

# საქართველოში 3.729.635 ადამიანი ცხოვრობს

## 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები

**მოსახლეობის აღწერა არც ერთ ქვეყანაში 100%-იანი მოცვით არ ტარდება, ამ მხრივ ცდომილება დაახლოებით 2% შეიძლება იყოს.**

ამის თაობაზე „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მერი დაუშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც 2014 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

პარლამენტის წევრების მხრიდან ყველაზე მეტი შეკითხვა მოსახლეობის აღწერასთან და მის წინასწარ მონაცემებთან დაკავშირებით დაისვა.

როგორც მერი დაუშვილმა განმარტა, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით დაფიქსირდა, რომ საქართველოში 3.729.635 ადამიანი ცხოვრობს. მისი თქმით, აქ იგულისხმება როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე არამოქალაქე პირი — ყველა ის, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე იყო და ყოფნას მომავალი 12 თვის განმავლობაში აპირებდა.

რაც შეეხება აღწერის იმ მონაცემებზე, რომლის მიხედვით რუსეთში 800.000 საქართველოდან წასული ემიგრანტია, დაუშვილის განცხადებით, ასეთი მონაცემები „საქსტატის“ საიტზე არ დევს, რადგან ემიგრანტთა რაოდენობა ჯერ დათვლილი არ არის.

— ჩვენ მხოლოდ წინასწარი მონაცემები გვაქვს დამუშავებული. რიცხვები არის მხოლოდ რეგიონალური ერთეულების ჭრილში. სხვა ამ ეტაპზე არა გვაქვს. ახლა მიმდინარეობს აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების კომპიუტერში შეტანა, შემდგომ მოხდება მათი დამუშავება და ყველა სხვა მონაცემი, რაც კითხვარის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ, 2016 წლის აპრილში იქნება, — განაცხადა მერი დაუშვილმა.

# პუტინ-ობამას სატელეფონო საუბარი შედგა

თეთრი სახლის პრესსამსახურის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტელეფონით ბარაქ ობამას დაუკავშირდა. საუბარი ორ თემას — „ერაყ-ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების პრობლემასა და უკრაინას შეეხო.

— აშშ-ის პრეზიდენტმა კვლავ მოითხოვა, რათა რუსეთმა უკრაინიდან ჯარი გაიყვანოს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ისლამისტების წინააღმდეგ თანამშრომლობაზე პრეზიდენტები ადვილად შეთანხმდნენ. რაც შეეხება უკრაინას, აქ პუტინმა პოზიცია არ შეიცვალა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი კვლავაც ამტკიცებს, რომ დონბასში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იმყოფება. იქ სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ობამა ამას არ დაეთანხმა.

— აშშ-ის ლიდერი რუსული არმიის გაყვანას კვლავაც კატეგორიულად მოითხოვს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.



# მოლაპარაკებები საბერძნეთის თაობაზე ჩიხში შევიდა

საბერძნეთსა და მის კრედიტორებს შორის მორიგი მოლაპარაკებების რაუნდი უშედეგოდ დამთავრდა. ბერძნები უარს აცხადებენ, განახორციელონ საპენსიო რეფორმა, გაითვალისწინონ ევროკავშირის რიგი მოთხოვნები.

—საბერძნეთს დეფოლტი ემუქრება.—იტყობინება ბი-ბი-სი.

დეფოლტის შემთხვევაში საბერძნეთი ევროზონასა და, სავარაუდოდ, ევროკავშირსაც დატოვებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საბერძნეთის პრემიერ ციპრასს საქმე შეგნებულად მიჰყავს აქეთკენ. მოსკოვში ვიზიტისას ციპრასი და ვლადიმერ პუტინი რაღაცაზე შეთანხმდნენ. პუტინიც ყველანაირად ცდილობს, საბერძნეთი ევროზონიდან და ევროკავშირიდან გასვლაზე დაიყოლიოს.

— თუკი საბერძნეთმა ევროზონა და ევროკავშირი დატოვა, ეს ევროპის ეკონომიკისათვის მართლაც მძიმე დარტყმა იქნება,—იტყობინება ბი-ბი-სი.

# კადიროვი ნემცოვს ემუქრებოდა?

„ეჟენედელნი ჟურნალის“ რედაქტორ რილკინის ცნობით, ჩეჩნეთის ამჟამინდელი ხელისუფალი კადიროვი ბორის ნემცოვს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.

—მიზეზი ნემცოვის მიერ კადიროვის რეჟიმისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იყო,—ამბობს რილკინი.

ჟურნალისტის აზრით, ნემცოვის მკვლელობის შემკვეთი სწორედ კადიროვია, თუმცა რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებას ამ ვერსიის გაგონებაც კი არ სურს.

— დღეს რუსეთს კადიროვი ჰაერივით სჭირდება, ჰოდა, ყველაფერს პატიობენ,—ამბობს რილკინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პაატა იმნაძე: სასმელ წყალთან დაკავშირებით საფრთხე არ არსებობს“

ნონა ცაბაძე

**ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ სტიქიის შედეგად ხელისუფლებამ საკანალიზაციო კოლექტორი მდინარე ვერეში ჩაუშვა, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ იქ მომუშავე მოხალისეები ინფექციური დაავადებების საფრთხის წინაშე იდგნენ.**

არსებობს თუ არა ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე, დაბინძურებულია თუ არა სასმელი წყალი ან რა ინფექციურ დაავადებებს უნდა ელოდოს საზოგადოება ზაფხულის პერიოდში? — „ახალმა თაობამ“ ამ და სხვა კითხვებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძეს მიმართა.

***— ბატონო პაატა, დიდი აჟიოტაჟი ატყდა იმის თაობაზე, თუ რატომ არ გააფრთხილეს მოხალისეები, რომ ვერეში კანალიზაციის წყალი მიედინებოდა. რამდენად აგნო იქ მომუშავეებს დაბინძურებულმა ვერემ?***

— დავიწყოთ იქიდან, რომ მოხალისეები აღარ მუშაობენ. ყველა მოხალისეს შორის, რომლებიც იქ მუშაობდნენ, მხოლოდ ორმა მიმართა მსუბუქი დიარეით ინფექციურ საავადმყოფოს. ჩვენ რომ ვამბობდით, არაფერი მოხდებაო, არაფერი მოხდა. უფრო ზუსტი რომ ვიყო, ასევე კიდევ ერთმა ლაგუნა ვერეს თანამშრომელმა მიმართა ინფექციურ საავადმყოფოს ანუ ამდენი ადამიანიდან სულ მხოლოდ სამმა მიმართა დიარეული დაავადების ნიშნებით ინფექციურ საავადმყოფოს. ამიტომაც იყო ჩვენი მხრიდან ასეთი ხშირი გაფრთხილებები, რომ ხელი დაებანათ.

***— თქვენ ხედავდით საფრთხეს?***

— გარდა იმისა, რომ კანალიზაციის კოლექტორი ჩაედინებოდა ვერეში, წყალმა რომ სახლები წაიღო, იმ სახლებს კანალიზაცია ხომ ჰქონდათ? როდესაც ამხელა სტიქიური უბედურება ხდება, იქ იგულისხმება, რომ დაბინძურება ხდება კანალიზაციით და ფეკალიებით. ამიტომ ყველა რჩევა იყო ამაზე აწყობილი, რომ ხელები დაებანათ საჭმლის ჭამის წინ. ახლა ვერეს წყალს რომ არავინ დალევდა, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით. ამიტომ ყველა ჩვენი გაფრთხილება ამაზე იყო ორიენტირებული, რომ იქ მომუშავეს ელემენტარული ჰიგიენური წესები დაეცვა. რადგან ფეკალური დაბინძურება რომ მოხდებოდა, ეს ისედაც ფაქტი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცხოველების ფეკალიებითაც ხომ დაბინძურდებოდა, რომლებიც დაიღუპნენ, იმავე ელიზბარაშვილის თავშესაფარში, იმავე ზოოპარკში.

***— ანუ დაბინძურება ყველა სიტუაციაში გარდაუვალი იყო?***

— რასაკვირველია! ახლა წარმოიდგინეთ, ის კოლექტორი რომ გაგვეუქმებინა, მაშინ რა მოუვიდოდათ იმ სახლების მცხოვრებლებს, საიდანაც ის კოლექტორი მოდის. გამოუვალი მდგომარეობის გამო იქნა ჩაშვებული ვერეში. თუნდაც ვერეში რომ გაუშვეს, შიგნით, მდინარე ვერეში ხომ არ მუშაობდნენ? ხალხი მუშაობდა ვერეს ნაპირებზე. წყალში ჩადიოდნენ მხოლოდ სპეციალურად მომზადებული მაშველები, შესაბამისად აღჭურვილები. ყველანაირად შეფასებული გვქონდა რისკები, გაფრთხილებაც იყო და, ფაქტია, რომ ჩვენ ავადმყოფები არ გვყავს.

***— უკვე აღარ არის დაავადების გამოვლენის საფრთხე?***

— ინკუბაციის პერიოდმა უკვე გაიარა. დიარეული დაავადების უმრავლესობას ორი-სამი დღე აქვს ინკუბაციური პერიოდი.

***— ამჟამად რა ხდება, მოწესრიგდა სიტუაცია?***

— ამჟამად იქ მუშაობენ სპეციალურად აღჭურვილი სამაშველო ბრიგადები, სამხედროები, ქალაქის დასუფთავების ბრიგადები და ყველა მათგანი გაფრთხილებულია. ისედაც მდინარეში ძირითადად ტექნიკა მუშაობს.

***— ეს კოლექტორი ამჟამადაც ვერეში ჩაედინება?***

— დიახ. მისი გაკეთება ასე უცბად წარმოუდგენელია. იმ ადგილას ეს რისკები არსებობდა, მაგრამ კატასტროფის არეალის გარეთ რისკები არ არის, იმიტომ, რომ თბილისი წყლით მარაგდება არაგვის ხეობიდან და არა — ვერეს ხეობიდან. ამიტომ თბილისის წყალი აბსოლუტურად უსაფრთხოა. ყოველდღიურად ხდება სინჯების აღება. სინჯებს იღებს წყლის კომპანია, ხოლო სურსათის ეროვნული სააგენტო პარალელურ რეჟიმში ამოწმებს წყლის ხარისხს. ორივე სააგენტო ჩვენ გვიგზავნის ამ ანალიზებს და ვეცნობით, რომ ყველაფერი იყოს წესრიგში.



***— მაშინ რატომ აცხადებდა მოსახლეობის ნაწილი, რომ მათ ონკანებში დაბინძურებული წყალი მოედინებოდა?***

— ღმერთმა დაიფაროს და, მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, ახლა თბილისის საავადმყოფოები სავსე უნდა იყოს დიარეული ავადმყოფებით. ლოკალურად ყოველთვის შეიძლება, უბანში რაღაც პატარა დაზიანება მოხდეს, მაგრამ წყალკანალმა გამოაცხადა კიდეც, იმ პერიოდში რაღაც უბნებში რომ შეწყდა წყალი დაზიანების გამო, მერე რომ აღადგინეს, პირდაპირ კი არ გაუშვეს წყალი, ჯერ გარეცხეს მილები და შემდეგ მიაწოდეს მოსახლეობას ანუ ყველა იმ სტანდარტს იცავენ, რომლებიც გათვალისწინებულია. შემიძლია დავამშვიდო ჩვენი მოსახლეობა, რომ არანაირი საფრთხე წყალთან დაკავშირებით არ არსებობს.

---

შორენა მარსაგიშვილი

# ალეკო შალამბერიძე: დომენტი სიჭინავამ მთელი პარლამენტი „ოჩერედში“ დააყენა“

### რატომ უნდა დაიბარონ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პარლამენტში

**დეპუტატების ნაწილი ითხოვს, რომ პარლამენტმა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა შეისწავლოს. მოჰყვება თუ არა ამას საერთაშორისო სკანდალი, რატომ უნდა დაინიშნოს დომენტი სიჭინავა კრიზისების მართვის საბჭოს მდივნად? _ ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.**

***— დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე მოითხოვს, რომ პარლამენტმა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა შეისწავლოს. მისი კოლეგების ნაწილი ამ მოთხოვნას იზიარებს, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება. თქვენი აზრით, აქვს პარლამენტს უფლება, შეისწავლოს ფედერაციის საქმიანობა?***

— რა საერთაშორისო სკანდალი უნდა მოჰყვეს? საერთაშორისო სკანდალი თავად დომენტი, იმავე ზვიად სიჭინავას ქმედებებს უკვე მოჰყვა. მხედველობაში „ბილეთები ჯისთან“ დაკავშირებული ამბები მაქვს. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ სიჭინავა კრიზისების მართვის საბჭოს მდივნად უნდა დაინიშნოს.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, კრიზისების მართვის საბჭო 13-14 ივნისის სტიქიისთვის მზად არ აღმოჩნდა. მათგან განსხვავებით, სიჭინავა მზად არის, ყველა სიტუაციაში სათანადოდ იმოქმედოს. რადგან „ბილეთები ჯიმ“ გაუჭედა, გამოვიდა და აუღელვებლად განაცხადა, გეგმა ბე-ს ავამოქმედებო. მინდია ჯანელიძეს გეგმა ბე არ ჰქონია. ამიტომაც უნდა ჩავანაცვლოთ ის სიჭინავათი.

***— იქნებ სერიოზულად ვისაუბროთ სიჭინავაზე. აქვს თუ არა პარლამენტს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის განხილვის უფლება?***

— რატომ არა აქვს? პარლამენტი მთავრობის საქმიანობას უწევს კონტროლს და ფეხბურთის ფედერაციამ რა დააშავა. საკანონმდებლო ორგანოში არის სპორტის კომიტეტი. სწორედ ამ კომიტეტმა უნდა დაიბაროს დომენტი სიჭინავა და მოითხოვონ ანგარიში.

გარწმუნებთ, ამას არანაირი სკანდალი არ მოჰყვება. ფეხბურთის ფედერაცია იმუნიტეტი არ არის, რომ მის პრეზიდენტს პასუხი არ მოეთხოვოს. სხვა თუ არაფერი, ფიფას პრეზიდენტს ამოუქექეს რაღაცები და მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. ეს არავის გაუპროტესტებია და სიჭინავას პარლამენტში დაბარებაზე ხმას არავინ ამოიღებს. მე არ ვიცი, რას იზამს პარლამენტი, მაგრამ, წინასწარ მოვითხოვ, სიჭინავასა და დეპუტატების შეხვედრა პირდაპირი ეთერის რეჟიმში გადაიცეს.

***— რატომ ითხოვთ ამ შეხვედრის ტრანსლირებას?***

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ფეხბურთი ყველას აინტერესებს. მერე სიჭინავას ისეთი გამოსვლები აქვს, ერი ამას არ უნდა გამოაკლდეს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაცი უეფას დროით მუშაობს. ეს არის აღმოჩენა. საქართველოს მან გააგებინა, რომ უეფას დროც არსებობდა.

***— თქვენ ისევ ხუმრობთ, მაგრამ სიჭინავას დაბარებაზე პარლამენტში დიდი ნერვიულობაა.***

— რად უნდა ამას ნერვიულობა, დაიბარონ და მორჩა. კარგი იყო, დომენტიმ ეგენი „ოჩერედში“ რომ დააყენა?!



**ოხ, გოგი, გოგი. სად ნახა მოხნული ველები მაგ შეჩვენებულმა! ისეთ განცხადებებს აკეთებს ეგ კაცი, ეჭვი მაქვს, დომენტი სიჭინავასთვის აპირებს „აბგონის“ გაკეთებას!**

***— რა „ოჩერედში“ დააყენა?***

— გამოვიდა და თქვა, სუპერთასის ბილეთების ასაღებად თბილისელები „ოჩერედში“ დადგებიანო. დეპუტატების დიდი ნაწილი ამ ბილეთების საშოვნელად ყველაფერს რომ გააკეთებს, ცხადია. და რადგან დომენტი მათ „ოჩერედში“ უშვებს, ამათაც დაიბარონ და ესაუბრონ ჭეშმარიტ ფეხბურთსა და უეფას დროზე. ეჭვი მაქვს, მისგან რაიმე გაიგონ, მაგრამ მაინც აუცილებელია მოსმენა.

ფეხბურთი ბევრად მეტია, ვიდრე სპორტი და კარგია, პარლამენტი ამ თემით რომ ინტერესდება. ფედერაციის საქმიანობით შინაგან საქმეთა სამინისტროც უნდა დაინტერესდეს. რაც მალე იზამენ ამას, მით უკეთესი იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

***— ამბობთ, ფეხბურთი უფრო მეტია, ვიდრე სპორტიო და, თუ ასეა, რატომ არაფერს აკეთებს ხელისუფლება?***

— ვისგან ითხოვთ რამის გაკეთებას, ამ ხელისუფლებისგან? მთავრობას საკუთარი თავი გასჭირვებია, ფეხბურთის ფედერაცია რომ არ აიკიდოს! ქვეყანაში არაფერი კეთდება. ხელისუფლებაში მოსვლამდე გვპირდებოდნენ, რომ სოფელს მიხედავდნენ და ამათი მოსვლის შემდეგ იქაურობა თითქმის დაიცალა. იმის მაგივრად, რომ მიწა დაამუშაონ, თბილისში მოდიან სატაქსაოდ.

***— ვიღაცას მიწის დამუშავება არ უნდოდეს, რა ხელისუფლების ბრალია.***

— ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები საიმისოდ, რომ ხალხი ადგილებზე დამაგრდეს. არ შეიძლება, ყველა თბილისში ჩამოვიდეს. ვეღარ იტევს ეს ქალაქი ამდენს.

***— დეპუტატი გოგი თოფაძე ამბობს, რომ საქართველოს მინდორ-ველი ისეთი მოხნული არასდროს ყოფილა, როგორიც ახლაა.***

— ოხ, გოგი, გოგი. სად ნახა მოხნული ველები მაგ შეჩვენებულმა! ისეთ განცხადებებს აკეთებს ეგ კაცი, ეჭვი მაქვს, დომენტი სიჭინავასთვის აპირებს „აბგონის“ გაკეთებას. მართალია, ამ ხელისუფლებას ბევრი საქმე დაუგროვდა გასაკეთებელი, მაგრამ მოვითხოვ, ფეხბურთს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ფეხბურთს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება მორალური სულისკვეთების ამაღლება. ამის გაკეთება ყველაზე უკეთ ფეხბურთს შეუძლია.

***— რაგბი ვერ აამაღლებს სულისკვეთებას? აქ ბევრად დიდი წარმატებები გვაქვს.***

— რაგბი, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩვენი თამაშია. ჩემი პატივისცემა ქართველ რაგბისტებს, მაგრამ ფეხბურთი მაინც ფეხბურთია. ახლა არ დამიწყოთ, პირობები არ არის და იმიტომ ვერ ვითარდებაო. არც ბელორუსშია მთლად დალაგებული ცხოვრება, მაგრამ „ბატე“ ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს. ამას, იცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის? სანამ დონეცკის „შახტარი“, როგორც გუნდი, იარსებებს, რუსეთი ვერასდროს წაართმევს უკრაინას დონბასს.

***— შველის ეგ საქმეს? ჩვენც კი გვყავს საფეხბურთო კლუბები — გაგრის „გაგრა“ და ცხინვალის „ცხინვალი“, მაგრამ რა ხეირი? რუსეთმა აფხაზეთიც წაგვართვა და სამაჩაბლოც.***

— „გაგრასა“ და „ცხინვალს“ სათანადოდ არ ეხმარებიან. ხელისუფლება ახალი ჯიპების შეძენით ნუ დაკავდება, ადგეს და ამ გუნდებს დაეხმაროს ფინანსურად. მათი გაძლიერება აუცილებლად მოგვიტანს დადებით შედეგს.

***— რა შედეგს მოიტანს?***

— აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, „გაგრა“ ან „ცხინვალი“ ევროტურნირებზე რომ გავიდეს. აფხაზებსა და ოსებზე ეს აუცილებლად დადებითად იმოქმედებს. ასეთი პატარ-პატარა ამბებით დიდი საქმეები კეთდება.

ფეხბურთს დიდი ძალა აქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ის ბევრად მეტია, ვიდრე სპორტი. ამიტომ მივიჩნევ საჭიროდ, პარლამენტმა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა შეისწავლოს. უკვე დროა, გადამჭრელი ზომები მივიღოთ.

***— გადამჭრელ ზომებში რას გულისხმობთ?***

— უნდა ვაიძულოთ სიჭინავა, ბლატერის გზას დაადგეს. მართალია, ეგ უეფას დროით მუშაობს, მაგრამ ფიფაც ექნება გაგონილი.

***— რანაირად უნდა აიძულონ სიჭინავას გადადგომა?***

— ეგ ხელისუფლებამ უნდა მოიფიქროს.

***— ეს არ იქნება ფედერაციის საშინაო საქმეებში ჩარევა?***

— რატომ იქნება ჩარევა? მისი მოსვლის შემდეგ ფიფას რეიტინგში უკან-უკან რომ მივდივართ, ეგ არ არის მავნებლობა?

***— მავნებლობა არის, მაგრამ დანაშაული — არა.***

— ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული. ის უნდა წავიდეს და ამისთვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. ხელისუფლების გარდა, საქმეში საქართველოს მოსახლეობაც უნდა ჩაებას. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებ, ერთად დავდგეთ და ერთად ვუთხრათ სიჭინავას: წადი! ასევე მივმართავ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ბოლო დროს ხშირად იყენებს ვეტოს უფლებას, გამონახოს რაიმე მეთოდი და სიჭინავას ქმედებებს დაადოს ვეტო. ამას ხუმრობით ვამბობ, დეპუტატებს კი სერიოზული ბრძოლისკენ მოვუწოდებ. ვიცი, რომ ამას ნაციონალების მხრიდან ერთი ამბავი მოჰყვება, მაგრამ პროცესი უნდა დაიწყოს.

***— ერთი ამბავი მოჰყვებაო და რას გულისხმობთ, ისეთივე აქციას მოაწყობენ, როგორც ეს ზოოპარკის დირექტორ გურიელიძის დასაცავად გააკეთეს?***

— მაგდენს ვერ გაბედავენ. მათაც კარგად იციან ხალხის განწყობა და ცოტა ხანს იხმაურებენ. შესაძლოა, მაკკეინსაც სთხოვონ განცხადების გაკეთება.

***— იცის მაკკეინმა დომენტი სიჭინავას არსებობის შესახებ?***

— გააგებინებენ. ევროპის სახალხო პარტიასაც ჩართავენ. შესაძლოა, საქმეს პოლიტიკური ელფერი მისცენ, მაგრამ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციონ, მით უმეტეს, რომ სიმართლე იმათ მხარესაა. იმას მაინც ვერ იტყვიან, რომ სიჭინავას „ბილეთები ჯი“ და წაგებები ჩაუდეს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საბანკო ასოციაცია საზედამხედველო სააგენტოს საბჭოში ერთ წევრს ითხოვს



**საბანკო ასოციაცია ეროვნული ბანკიდან გამოყოფის შემთხვევაში, საზედამხედველო სააგენტოს საბჭოში ერთი წევრის შეყვანას ითხოვს. შესაბამისი მოთხოვნა პარლამენტის 4 კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფის საკითხი განიხილებოდა, საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ დააყენა.**

— თუ ვინმე პოლიტიკურ განცხადებას ელოდება, დიდი ბოდიში. იმედი უნდა გაგიცრუოთ, რადგან ჩვენი მიზანი არც ერთ შემთხვევაში ეს არ არის. ჩვენ თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, რომ ამ კანონპროექტს მიეღო ნორმალური სახე და ჩვენი შენიშვნები და წინადადებები წარვუდგინეთ კანონპროექტის ინიციატორებს. ვთვლით, რომ როგორც მთავრობას, ეროვნულ ბანკსა და პარლამენტს, კომერციული ბანკებისთვისაც ყველაზე მინიმალურია ის ერთი კაცი, რომელიც ჩვენ შეიძლება საბჭოში წარგვადგინოთ და არავითარ ინტერესთა კონფლიქტს აქ ადგილი არ ექნება... თუ ამას არ მოგვცემთ, არც ეს იქნება პრობლემა, — განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

საბანკო ასოციაციის პრეზიდენტის აზრით, სააგენტოს ხელმძღვანელი, რომელსაც საბჭო წარადგენს, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ასევე, მისი თქმით, აუცილებელია, საბჭოს წევრს უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში საფინანსო სექტორში მუშაობის უფლება არ ჰქონდეს, ამ პერიოდში კი მას სახელფასო სარგო შეუნარჩუნდეს.

— აუცილებელია, რომ მკაცრად დადგინდეს კრიტერიუმებიც, რომლებითაც მოხდება საბჭოს წევრების და ხელმძღვანელის წარდგენა, — აღნიშნა მან.

ზურაბ გვასალიას თქმით, მათი დიდი თხოვნაა ასევე, რომ ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია დარჩეს ეროვნულ ბანკში.

— არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამის სააგენტოში გადატანა, — განმარტა საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა.

## ეკონომიკის სამინისტროს შენობა ჰუალინგ ჯგუფმა 9.450.000 დოლარად იყიდა

### სამინისტრო ძველ შენობაში გადადის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობა 9.450.000 დოლარად გაიყიდა.

თბილისში, ჭანტურიას ქუჩა 12-ში მდებარე შენობის პრივატიზაციასთან დაკავშირებული აუქციონი 26 ივნისს შედგა.

აუქციონის შედეგების მიხედვით, შენობა 9.450.000.00 დოლარად (21.766.185.00 ლარად) გაიყიდა.

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ თბილისში, ჭანტურიას ქუჩა №12-ში მდებარე შენობა, რომელშიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა განთავსებული, პირობიანი აუქციონის ფორმით გასაყიდად 29 მაისს გამოიტანა.



უძრავი ქონება მოიცავს მიწის ნაკვეთს 4.200 კვ.მ. და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობას, ფართით 11.200 კვ.მ. ობიექტს აქვს ასევე ინდივიდუალური ტერიტორია პარკინგისთვის. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 6 მილიონი აშშ დოლარით იყო განსაზღვრული.

— ძირითადი საინვესტიციო ვალდებულებაა მყიდველის მიერ 3 წლის ვადაში არა ნაკლებ 100-ნომრიანი სასტუმროს მოწყობა და ფუნქციონირების დაწყება, — განაცხადა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ეკატერინე სისაურმა.

ეკონომიკის სამინისტროს შენობა ჰუალინგ ჯგუფმა შეიძინა. როგორც კომპანიაში „აიპრესს“ განუცხადეს, აუქციონის პირობების თანახმად, შენობაში სასტუმრო განთავსდება, თუმცა კომპანიაში ჯერ-ჯერობით ვერ აკონკრეტებენ, თუ რომელი ბრენდის იქნება სასტუმრო.

ჰუალინგ ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის განცხადებით, შენობა ჯგუფის შვილობილმა კომპანიამ შეიძინა.

ოფიციალური ინფორმაციით, შენობა ფიზიკურმა პირმა თამაზ მაზიაშვილმა იყიდა. „კომერსანტის“ ცნობით, თამაზ მაზიაშვილი ჰუალინგ ჯგუფთანაა დაკავშირებული.

ჰუალინგ ჯგუფი 2007 წლიდან ახორციელებს კაპიტალდაბანდებას საქართველოში, ჯგუფის მიერ შეძენილ იქნა ხე-ტყის მოპოვების 20 წლიანი ლიცენზიები, ყოველწლიურად 8.8000 კბ.მ-ის ხე-ტყის დამზადების უფლებით, (ძირითად საუბარია წიფლის ჯიშის ხე-მცენარეებზე). კომპანიამ უკვე დააფუძნა ხის გადამამუშავებელი 2 ქარხანა. შეძენილ იქნა ოქროს, სამშენებლო ქვის მოპოვების ლიცენზიები.

ჰუალინგ ჯგუფმა ქალაქ ქუთაისში შეიძინა 70 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც აშენებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, განხორციელდა 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

თავად ეკონომიკის სამინისტრო ძველ შენობაში გადადის.

ამის შესახებ „აიპრესთან“ საუბრისას ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთი ბოჭორიშვილმა განაცხადა.

ძველი შენობა საბურთალოზეა განთავსებული.

## მარგველაშვილი საბანკო ზედამხედველობის სამსახურის კანონპროექტს ვეტოს დაადებს

პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩევლის, გიორგი აბაშიშვილის თქმით, საბანკო ზედამხედველობის სამსახურის კანონპროექტს პრეზიდენტი ვეტოს აუცილებლად დაადებს.

— ამაზე არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობია კანონპროექტის მიზანშეწონილობა პროფესიული კუთხით. შესაბამისად, ყველა ის კანონპროექტი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის უმნიშვნელოვანესი საფინანსო ნაწილის განვითარებას რაიმე ფორმით აზიანებს, იქნება ვეტოდადებული, — განაცხადა აბაშიშვილმა.

ამასთან, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტების პაკეტი წინააღმდეგობაშია ასოცირების დღის წესრიგთან.

— ჩვენ ჯერ კიდევ არ ვსაუბრობთ, აღნიშნული კანონპროექტი რამდენად მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან; ჩვენ ჯერ კიდევ არ ვსაუბრობთ დეტალურად, კანონპროექტის შინაარსი რამდენად მოდის სრულ წინააღმდეგობაში იმ თანამდროვე ტენდენციებთან, რა მიმართულებითაც დღეს საბანკო სექტორი, საბანკო ზედამხედველობა ვითარდება, მაგრამ ვსაუბრობთ ფაქტზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა უკვე გუშინ. კერძოდ, ასოცირების შეთანხმების გაფორმებიდან თითქმის ერთი წლის თავზე დაირღვა ასოცირების დღის წესრიგი, რაც ძალიან სამწუხაროა და შესაბამისად, დაირღვა საქართველოს მთავრობის №59 განკარგულება, რომელიც სწორედ ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს, — განაცხადა აბაშიშვილმა.

მისი თქმით, ასოცირების დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ტიპის ცვლილება, რომელიც ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ კანონმდებლობას შეეხება, ევროკავშირის ექსპერტიზით, მათ შორის, ევროპის ცენტრალური ბანკის ჩართულობით უნდა განხორციელდეს.

## ვოლსკი: პრეზიდენტის ვეტოს დავძლევთ“

ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერის გია ვოლსკის განცხადებით, თუ პრეზიდენტი ,,ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ვეტოს დაადებს, ის დაძლეული იქნება.

როგორც ვოლკსიმ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კანონპროექტთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა გათვალისწინებულია და ეს მისი დეტალურად განხილვის დროს გამოჩნდება.

— იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, ის გაზიარებული ვერ იქნება. დღეს გვექნება საუბარი ძირითად პრინციპებზე. დეტალებზე როცა გადავალთ, კანონპროექტში ნახავთ, რომ ძალიან ბევრი შენიშვნა გათვალისწინებულია. თვითონ იდეა, ზედამხედველობის საბჭო იყოს გახსნილი და პარლამენტიც იყოს აქტიურად ჩართული ამაში, არის ის დემოკრატიული ნიშანი, რაც უნდა ახასიათებდეს ამ ორგანოს მართვას. არა მგონია, პრეზიდენტს ამ დეტალების გათვალისწინების შემდეგ სურვილი გაუჩნდეს ვეტოს დადების. თუკი მაინც დაადო ვეტო, გვეყოფა რესურსი, რომ ის დავძლიოთ , — განაცხადა გია ვოლსკიმ.

## აფბა: საწვავი უნდა გაიაფდეს

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია აფბას განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფების და ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელი სტაბილიზირების მიუხედავად, საქართველოში საწვავის ფასი უცვლელი რჩება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციის ანალიტიკოსმა პაატა ბაირახტარმა 26 ივნისს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა კლება გასული წლის ივლისის თვეში დაიწყო და 2015 წლის იანვარში ბარელი ნავთობის ფასი 48$-მდე დაეცა. ანუ 2013 წელთან შედარებით, მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი 58%-ით იყო შემცირებული, საქართველოში კი ეს შემცირება 15-18%-ს არ აღემატებოდა, — განაცხადა ბაირახტარმა.

მისი თქმით, 2015 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ბაზარზე საწვავის რეგულარული კლების ტენდენცია შეჩერდა და საწვავის ფასმა „თამაში“ დაიწყო, თუმცა ეს რყევები არ სცილდებოდა 2-4 დოლარს, სწორედ ეს გახდა საქართველოში საწვავზე ფასის მატების პირველი მიზეზი.

— ამ პერიოდში საქართველოში საწვავი 3-6 თეთრით გაძვირდა და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში საწვავის ფასი მხოლოდ 15-18%-ით იყო შემცირებული. სწორედ ამ პერიოდში ეროვნული ვალუტა რყევებს განიცდიდა, ამ ფაქტორით ახსნეს კომპანიებმა და ამ ბიზნესის ლობისტებმა საწვავის ფასში ის 40%-იანი განსხვავება, რომელიც მსოფლიო ბაზარსა და ქართულ ბაზარს შორის არსებობდა, — განაცხადა ბაირახტარმა.

ამ პერიოდისთვის ქვეყანაში ინფლაციის დონე 1.4 %-ს არ აღემატებოდა. ამ პროცესების შემდეგ ქვეყანაში ლარმა გაუფასურება განაგრძო, რაც რეალურად მართლაც აისახა ბენზინის ფასზე და კომპანიებმაც საწვავის ფასის რეგულარული მატება დაიწყეს.

— თებერვლის მეორე ნახევრიდან დღემდე საწვავის ფასი საქართველოში 8-ჯერ შეიცვალა მატების კუთხით და დღეს 1 ლიტრი რეგულარის ტიპის საწვავზე ფასი 1.93-2.09 მდე მერყეობს, — განაცხადა ბაირახტარმა.

მისივე თქმით, მთავარი კითხვა, რაც საზოგადოებას აწუხებს, არის ის, რეალურად ამდენად უნდა გაძვირებულიყო თუ არა საქართველოში საწვავი.

— მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფე-



ბის ტენდენციას ემთხვევა ქვეყანაში ეროვნული ვალუტის დასტაბილურებაც, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საქართველოში საწვავზე ფასის მატებისა. თუ ეროვნული ვალუტის გაუფასურება პიკის დროს 29%-იან ნიშნულს აღწევდა, დღეს სურათი რადიკალურადაა შეცვლილი და ლარის გაუფასურება 19%-მდეა შემცირებული. ბოლო მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი 11.76%-ით არის შემცირებული, ეროვნული ვალუტა კი 9%-ით გამყარდა. ახალგაზრდა ფინასისტები მივიჩნევთ, რომ ამ კომპენენტების გათვალისწინებით, საქართველოშიც, როგორც მინიმუმ, უნდა მოხდეს საწვავის ფასების გადახედვა და საწვავი უნდა გაიაფდეს, — განაცხადა ბაირახტარმა.

## ვერეს ხეობაში ქართული მანჰეტენის“ მოწყობა იგეგმება

საერთაშორისო მშენებელთა ასოციაციამ და საქართველოს ბიზნესპალატამ შეიმუშავეს პროექტი, რომელიც ვერეს ხეობაში ქართული მანჰეტენის მოწყობას გულისხმობს.

როგორც ჟურნალისტებს ბიზნესპალატის ხელმძღვანელმა, ექსპერტმა ემზარ ჯგერენაიამ განუცხადა, მდინარე ვერემ ნგრევა დაამთავრა და



ახლა უნდა დაიწყოს მშენებლობა.

— ჩვენ მოვიწვიეთ უცხოელები, დავიწყეთ კვლევა იმ პრობლემის, რაც ვერეს ხეობაშია. ჩვენ გვაქვს ალტერნატიული პროექტი. ამ პროექტის არსი იმაშია, რომ პატარა, ლამაზი მანჰეტენი შევქმნათ თბილისში, თავისი რეკრეაციული ზონით, დამბით, წყლის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებით, — აღნიშნა ჯგერენაიამ.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, დამბის აშენების შემთხვევაში აბსოლუტურად შესაძლებელია ამ პროექტის განხორციელება.

— დამბა იქნება იმის გარანტორი, რომ მსგავსი არასდროს განმეორდება თბილისში. პროექტი „მანჰეტენი“ გულისხმობს სარეკრეაციო ზონის აღდგენას, პარკის გაშენებას თავისი სპორტული მოედნებით, სასტუმროებით, ბიზნესცენტრებით და კორპუსების განთავსებას, — განაცხადა ჯგერენაიამ.

მათ მთავრობას გარკვეული სიგნალი უკვე მისცეს.

— მთავრობას სიგნალი მივეცით. რამდენიმე მინისტრს უკვე ველაპარაკეთ. უახლოეს დღეებში მათგან ველოდებით პასუხს. მერიასთან იდეის დონეზე უკვე გვქონდა პრეზენტაცია, — აღნიშნა ჯგერენაიამ.

მისივე თქმით, ამ პროექტის განხორციელებას დასჭირდება 1 მილიარდ 400 მილიონი და ამ თანხის მოძიებას დონორებისა და ინვესტორებისგან შეეცდებიან.

— მოლაპარაკებები გაიმართა ბიზნესმენებთან. ისინი გამოთქვამენ სერიოზულ მზადყოფნას, რომ ჩაიდოს დიდი ფული ამ პროექტში. ჩვენ უნდა შევცვალოთ შეხედულება. ვერეს ხეობის ადგილი არ არის უბედურება, ეს არის მომავლის ადგილი, — დასძინა ემზარ ჯგერენაიამ.

ბიპიენი

## გიორგი პერტაია: საქართველოდან ინვესტორები არ გადიან“

არანაირი პატარა საფუძველიც კი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საქართველოდან ინვესტორები გადიან.

ამის შესახებ საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი პერტაიამ იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, საქსტატის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 34%-ით შემცირდა.

— კვარტლების დონეზე FDI-ის შედარება არ იქნება სწორი იმიტომ, რომ ჯერ ერთი ტრენდს ვერ ვხედავთ იმისა, რომ რაღაცა მცირდება. რეალურად შეიძლება იყოს ბევრი მიზეზი იმისა, თუ რატომ შემცირდა პირველ კვარტალში ინვესტიციების მოცულობა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ წინა წელს მეორე კვარტალში გვქონდა იმაზე უფრო ნაკლები ინვესტიცია, რაც წელს პირველ კვარტალში შემოვიდა, თუმცა წლის ბოლოს ნახეთ, რომ ინვესტიციების ძალიან დიდი ზრდა გვქონდა, — განაცხადა გიორგი პერტაიამ.

მისი თქმით, საფუძველიც კი არ გვაქვს ვივარაუდოთ იმისთვის, რომ რაღაც ცუდი სიტუაციაა და ინვესტორები გადიან, ან ჩადებულ პროექტებზე უარს აცხადებენ.

— ასეთი რამ არ ხდება. პირიქით, უფრო მეტ პროექტზეა საუბარი და მივიჩნევ, რომ საერთო ჯამში, წლის ბოლოს პოზიტიური ციფრი გვექნება, — აღნიშნა პერტაიამ.

# შსს-მ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები: 456 გრ ჰეროინი, 380 აბი „სუბუტექსი“, 21 კილო და 800 გრ მარიხუანა, 67 კგ კანაფი, „მეტადონი“, „მეტამფეტამინი“ და სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული ნივთიერებები ახალი ტექნოლოგიით, მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურა.

სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს შსს-ს თანამშრომლებთან ერთად მთავარი პროკურატურის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

# დაჭრა თამარაშვილზე



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული დავით თ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე პატრულირებისას, კაფე „კოფეინის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე ახალგაზრდას შორის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი შენიშნეს. ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ერთ-ერთ პიროვნებას სხეულზე ცივი იარაღით დაზიანება ჰქონდა მიყენებული.

დაჭრილი ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1938 წელს დაბადებული ნარიმან მ. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მხილებულმა, ბოლნისის რაიონის სოფელ ფარიზში, ღამით, ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ სახლში, მეუღლე — 1951 წელს დაბადებული სამარგანდ მ. საკუთარი ორლულიანი სანადირო თოფიდან ერთი გასროლით მუცლის არეში სასიკვდილოდ დაჭრა.

სამარგანდ მ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მხილებულმა დანაშაულის ჩადენის იარაღით გულმკერდის არეში თვითდაზიანება მიიყენა. დაჭრილი ნარიმან მ. მარნეულის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — ორლულიანი სანადირო თოფი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11— პრიმა 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# გელა ნიკოლაიშვილი: პროკურატურის ზოოპარკში შესვლა გაუგებარია“

## „ადამიანები ყოველთვის განტევებისვაცს ეძებენ“

ნონა ცაბაძე



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოც მოხვდა. ბევრ სხვა საკითხთან ერთად საუბარია კაბელების საქმეზე, ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლებაზე, ციხეებში არსებულ ვითარებაზე. ასევე ყურადღება მახვილდება პოლიტიკურ დაპატიმრებებზე. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფლებადამცველ **გელა ნიკოლაიშვილს** ესაუბრა.

— ბატონო გელა, როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები, რამდენად რთულადაა ქვეყანაში საქმე ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ? აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხელისუფლებას ამ კუთხით ბევრი მინუსი დაუწერა. ასევე მოვისმინეთ შეფასებები, რომ დეპარტამენტის მხრიდან ორმაგ სტანდარტებს აქვს ადგილი. რას იტყვით?

— სამწუხაროდ, პირდაპირ რომ ვთქვათ, არ არის ერთგვაროვანი მიდგომა. ვგულისხმობ, რა მიდგომებიც დღეს აქვს სახელმწიფო დეპარტამენტს და როგორი იყო წინა ხელისუფლების დროს.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— ყველა ის მინუსი, რომელიც არის მითითებული ამ მოხსენებაში, წინა ხელისუფლების დროსაც სახეზე იყო. სწორედ მათ დანერგეს, რომ 9-თვიანი ვადა თუ ამოიწურებოდა, სხვა დანაშაულისთვის ახალ 9-თვიან ვადას აგრძელებდნენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. როდესაც ჩვენ ადვოკატები ამაზე ხმაურს ვტეხდით, სახელმწიფო დეპარტამენტი მაშინ ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. როდესაც პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა დაპატიმრება, ამაზეც თვალს ხუჭავდნენ, ან ძალიან რბილად იყო შენიშვნები. ის მინუსები, რომლებიც დაფიქსირებულია ამ მოხსენებაში, რეალურად სახეზეა, მაგრამ ეს არ არის დღევანდელი დღის პრობლემები, ეს არის წლების განმავლობაში არსებული პრობლემები. რომლებზეც რატომღაც დღეს ამახვილებენ ყურადღებას და თვალს ხუჭავდნენ წინა ხელისუფლების დროს.

***— იქნებ არ ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება? იმავე კაბელების საქმეზე დიდი ყურადღებაა ამ მოხსენებაში გამახვილებული და ეს ინფორმაციები, ალბათ, ალასანიას მიერ არის მიწოდებული.***

— რასაკვირველია, მათი მიწოდებულია, თუმცა წინა წლებშიც ხდებოდა ინფორმაციების მიწოდება. კი, იყენებენ ამ 9-თვიან ვადას, როცა თავისუფლად შეიძლება, გირაო იქნეს გამოყენებული, მაგრამ რატომღაც ეს დღეს მოექცა ყურადღების ცენტრში. ნაციონალების დროს ხომ საერთოდ არ ხდებოდა გირაოს შეფარდება! აი, ამიტომ გვაქვს პრეტენზია, რომ არსებობს ორმაგი სტანდარტები, თორემ, პრობლემები რომ არსებობს, ამაზე ჩვენ წინა ხელისუფლების დროსაც ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, თუმცა ახლა ამ კუთხით უკეთესი მდგომარეობაა, უფრო მეტ ადამიანს უფარდებენ გირაოს. მე მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ კაბელების საქმე იქნება თუ სხვა, ასეთ დანაშაულებზე არ უნდა იყოს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეფარდებული.

***— რადგან კაბელების საქმეზე ვსაუბრობთ, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ამ საქმის მოსამართლე დავით ჯუღელზე მიმდინარეობს ზეწოლა, რომ ის თავშესაფარს ითხოვს უცხო ქვეყნებში, რამდენად რეალურია ეს ინფორმაციები?***

— ეს ყველაფერი დიდი სისულელეა. როდესაც არგუმენტი არ არის, ყველაფრის თქმა შეიძლება, ენას ძვალი არა აქვს. ალასანიას გუნდის წევრები აცხადებენ, ზეწოლა მიმდინარეობსო, მაგრამ მარტო თქმა ხომ არ არის? ამას ხომ სჭირდება ფაქტებით გამყარება. თქვეს, რომ ივანიშვილი სახლში შეხვდა მოსამართლეებს შუაღამისას, მაგრამ ასეთივე წარმატებით შეიძლება ითქვას ნებისმიერი რამ. მარტო იმით აპელირება, რომ ჩვენ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაცია, წყარომ მოგვაწოდა ცნობები და ვერ გავამხელთ ამ წყაროს... ნებისმიერს შეუძლია ამის თქმა და, აქედან გამომდინარე, ეს არასერიოზულია. თუ რაიმე კონკრეტული ან თუნდაც ირიბი მტკიცებულება არ იქნა დადებული, ეს ყველაფერი ჭორაობას ემსგავსება.

> ალასანიას გუნდის წევრები აცხადებენ, კაბელების საქმის მოსამართლეზე ზეწოლა მიმდინარეობსო, მაგრამ მარტო თქმა ხომ არ არის? ამას ხომ სჭირდება ფაქტებით გამყარება. თქვეს, რომ ივანიშვილი სახლში შეხვდა მოსამართლეებს შუაღამისას, მაგრამ ასეთივე წარმატებით ნებისმიერი რამ შეიძლება ითქვას!

***— ანუ ეს ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში გადადის?***

— დიახ, ეს ხდება სწორედ პოლიტიკური ქულების დაგროვების მიზნით. ჩემზეც შეუძლია ნებისმიერს გამოვიდეს და თქვას რაღაც სასწაული, გუშინ ღამე დაფრინავდა, ეს ვიღაცამ დაინახა და მის ვინაობას ვერ გაგიმხელთ, კონფიდენციალურიაო. ხომ იქნება ეს არასერიოზული?! ტყუილის მთქმელს მერე მართალსაც აღარ დაუჯერებენო. როდესაც ასეთ რაღაცებში არიან შემჩნეული პოლიტიკოსები, სწორედ ამიტომაც არის ძალიან ნაკლები ნდობა პოლიტიკოსების მიმართ.

***— ზურაბ ხარატიშვილმა და კიდევ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დავით ნარმანიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. 13-14 ივნისს მან ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ.***

— ესეც ძალიან არასერიოზული და თითიდან გამოწოვილია. ბუნებრივ მოვლენებსა და სტიქიურ უბედურებებს მარტო საქართველოში ხომ არ აქვს ადგილი! გავიხედოთ, რა ხდება ირგვლივ, ქალაქები მთლიანად იძირება და მსხვერპლიც ძალიან დიდია. ვინ დაუდგება წინ სტიქიურ უბედურებას?! როცა ასეთ განცხადებებს აკეთებ, ცოტა ჭკუაც უნდა დაატანოს ამის მთქმელმა. ორი საათით ადრე რატომ არ დაიწყე რეაგირება და ორ საათში არ გაწმინდეო? ორ საათში კი არა, აგერ, ორი კვირაა, წმენდენ და ვერ გაწმინდეს. რაც არ უნდა სწრაფი რეაგირება ყოფილიყო, ბუნებრივი მოვლენები და სტიქია ისეთია, რომ მას წინ ვერავინ დაუდგება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბუნებამ ავი ქნა და ჩვენ უნდა შევეგუოთ ბუნებრივ მოვლენებს. მე რაც მოვისმინე, არაფერი კონკრეტული არ აქვთ, რომ ამაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. ეს ყველაფერი პოლიტიკური ქულების დასაწერად არის მიმართული.

***— ასევე ზოოპარკშიც არის შესული პროკურატურა. ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— იგივე შემიძლია ვთქვა აქაც. როდესაც ასეთი უბედურება ხდება, ასეთი მასშტაბური, ვთქვათ, ვერ დათვალა ამ კაცმა, ერთი ვეფხვი გარეთ იყო თუ შიგნით. როდესაც ლაპარაკობენ, ვინ იყო იქ პასუხისმგებელი, თვითონ ეს ინფორმაციის მიმწოდებელი თუ მერე გამავრცელებელიო. აქ მთავარი ის არის, რომ ეს შედეგი ყველა სიტუაციაში აუცილებლად დადგებოდა, მით უმეტეს, აცხადებენ, რომ ის ტერიტორია წინა საღამოს შეამოწმეს და საეჭვო არაფერი იყო. მუდმივად შეიარაღებულ კაცს ხომ არ დააყენებდნენ იმ ადგილას? აქედან გამომდინარე, სისულელეა იმაზე საუბარი, ეს რომ ეთქვა გურიელიძეს, აღარ მოხდებოდა ასეთი უბედურებაო. დღესაც ხომ ვიცით, რომ ერთი ვეფხვი გარეთ არის, ვინმეს რომ ეცეს, ეს ვინმეს ბრალი იქნება? რა მნიშვნელობა აქვს, იცი თუ არ იცი? ეს შედეგს ცვლის? ასე რომ, ესეც ძალიან ხელოვნურადაა გაზვიადებული. ადამიანები ყოველთვის განტევების ვაცს ეძებენ ხოლმე და, აი, ეს არის მიზეზი.

# კიევში ორმა ქართველმა ფასიანი ქაღალდებით სავსე პორტფელი გაიტაცა

უკრაინის დედაქალაქ კიევში, დღის საათებში, უცნობმა თავდამსხმელებმა, მამაკაცი და ქალბატონი დააყაჩაღეს, მათ თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და ქეისი გასტაცეს, რომელშიც ღირებული დოკუმენტები — კონტრაქტები, და სხვადასხვა თანხის ოდენობით, რამდენიმე საბანკო დეპოზიტი იყო.

შემთხვევა გოლოსეევსკის რაიონში მოხდა.

როგორც ადგილობრივ არხებთან სამართალდამცველებმა განაცხადეს, დაყაჩაღებულმა მამაკაცმა და ქალბატონმა, ფასიანი ქაღალდები შეიძინეს და მის შესაფასებლად ნოტარიუსთან მიდიოდნენ.

— როდესაც ისინი ოფისიდან გამოვიდნენ, მათ თავს დაესხნენ. ორივეს თავში, მძიმე საგანი ჩაარტყეს. დაცემის დროს მამაკაცმა ხელი მოიტეხა. თავდამსხმელმა მას დოკუმენტები გამოსტაცა და გაიქცა, — აცხადებენ სამართალდამცველები.

უკრაინის პოლიციამ ცხელ კვალზე, შემთხვევიდან 30 წუთში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. მათ ნაძარცვი დოკუმენტებით სავსე ჩანთა აღმოუჩინეს. დაკავებულების ასაკი 24 და 25 წელია.

სამართალდამცველებმა შემოწმების დროს დაადგინეს, რომ დაკავებულთაგან ერთ-ერთი, სხვა სახელმწიფოში, პირის ჯგუფური მკვლელობის ბრალდებით იძებნება.

როგორც საქართველოს მოქალაქეებმა განაცხადეს, მათ რუსული და უკრაინული ენები არ იციან, შესაბამისად დაკავებულებს ადვოკატი და თარჯიმანი მიუყვანეს.

მათ 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ნსპ.გე

# საპატიმროებში მსჯავრდებულებმა თვითდაზიანებები მიიყენეს

სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებიდან, 2015 წლის 25 ივნისს, თვითდაზიანების გამო, სამი მსჯავრდებული გ. ბ. გ. გ. და ბ. ო. კლინიკა „ლანცეტში“ გადაიყვანეს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ინფიორმაციით, ორი მათგანი ამ დროისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებას უკვე დაუბრუნდა. მესამე მსჯავრდებული ჯერჯერობით კლინიკაში რჩება, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და სათანადო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ ის სასჯელის მოხდის ადგილს დაუბრუნდება.

სამივე მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ისინი სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

— ოპერატიული ინფორმაციით, მოცემული მსჯავრდებულები კრიმინალური სუბკულტურისკენ არიან მიდრეკილები და თვითდაზიანება მიიყენეს მას შემდეგ, რაც მათ სხვა, სასურველ დაწესებულებაში გადაყვანაზე უარი უთხრეს, — აცხადებენ სამინისტროში.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, მსჯავრდებულები თავიანთი არალეგიტიმური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პროტესტის სხვადასხვა ფორმას ხშირად მიმართავენ და ამ გზით ადმინისტრაციაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. სამინისტროს არაერთხელ განუცხადებია და ვიმეორებთ, რომ მსჯავრდებულის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის საკითხი სასჯელღასრულების ადმინისტრაციის პრეროგატივაა და ამ გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევა ვერავინ, მათ შორის ვერც მსჯავრდებული.

მედიასაშუალებებით დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სამკურნალოდ არა სამი, არამედ შვიდი პატიმარი გადაიყვანეს.

როგორც მკურნალმა ექიმებმა განაცხადეს, პატიმრებს დაზიანებები თავის არეში ჰქონდათ მიყენებული.

ნიუსპრესი

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ქართული კლუბების ევრომეტოქეები

მალე ქართული კლუბები ევროსეზონს დაიწყებენ. ჩვენს ქვეყანას წელს 4 გუნდი წარადგენს: ჩემპიონთა ლიგაზე გორის „დილა“, ხოლო ევროპალიგაზე — ბათუმისა და თბილისის „დინამო“ და „ცხინვალი“.

კენჭისყრა უკვე შედგა და გვინდა, წარმოგიდგინოთ ის გუნდები, რომლებიც ჩვენს გუნდებს შეხვდნენ ევროტურნირებზე.



### პარტიზანი (სერბეთი)

ჩემპიონთა ლიგაზე „დილა“ დებიუტანტია და მისი მეტოქე სერბული „პარტიზანია“, რომელსაც ამ ტურნირში მონაწილეობის დიდი ისტორია აქვს.

კლუბი 1945 წელს არის დაარსებული და იუგოსლავიის დაშლამდე ტიტულებით მხოლოდ დაუძინებელ მტერს, თანაქალაქელ „ცრვენა ზვეზდას“ ჩამორჩებოდა, თუმცა უკვე სერბული ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი გუნდი გახდა: 1990 წლიდან მოყოლებული, 15-ჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა და შვიდჯერ თასს დაეუფლა.

ეს სერბეთში და მიღწევების შედეგად „პარტიზანი“, თითქმის ყოველწლიურად მონაწილეობს ევროტურნირებზე. კლუბის საუკეთესო შედეგია ჩემპიონთა თასის 1965-66 წლების გათამაშება, სადაც ფინალამდე მიაღწია და იქ იმ დროისათვის მსოფლიოში უძლიერეს გუნდთან, მადრიდის „რეალთან“ 1:2 დამარცხდა.

პარტიზანელებმა მაშინ ნახევარფინალში მეტ ბასბის „ბიჭები“ დაამარცხეს — „მანჩესტერ იუნაიტედი“, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ამის გარდა, „პარტიზანმა“ ორჯერ იასპარეზა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო ოთხჯერ — ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე!

„პარტიზანს“ ისტორიას თუ გადავხედავთ, საკმაოდ ცნობილ ფეხბურთელებსაც აღმოვაჩენთ: ბრანკო ზებეცი, ზლატკო ჩაიკოვსკი,ველიბორ ვასოვიჩი, მილან გალიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი, სავო მილოშევიჩი, მატეა კეჟმანი...

არც ცნობილი მწვრთნელების ნაკლებობას განიცდიდა სერბული კლუბი: მილოშ მილუტინოვიჩი, ივიცა ოსიმი, ლოთარ მათეუსი, იურგენ რობერი, ავრამ გრანტი...

ახლა კლუბის მწვრთნელი სერბი სპეციალისტი, 46 წლის ზორან მილინკოვიჩია, რომელმაც „პარტიზანი“ მარტში ჩაიბარა და თავისი პირველი საჩემპიონო ტიტულიც მოიპოვა.

შემადგენლობაში ცნობილი სახეები არიან 37 წლის ნახევარმცველი საშა ილიჩი და 29 წლის ცნობილი ბულგარელი ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი. პირველი გუნდის კაპიტანია, ხოლო ბოჟინოვი ახალწვეულია. არიან ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიც: 28 წლის ივან ბანდალოვსკი (ბულგარეთი), 29 წლის ვლადიმირ ვოლკოვი (ჩერნოგორია), 32 წლის ბრანკო ილიჩი (სლოვენია), 25 წლის ფაბრისიო (ბრაზილია), 30 წლის ნიკოლა დრინჩიჩი (ჩერნოგორია)...

„პარტიზანი“ ქართული კლუბებისთვის უცხო არ არის — 1998 წელს ჯერ კიდევ არსებული თასების მფლობელთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბათუმის „დინამოს“ დაუპირისპირდა და ორი მატჩის ჯამში დაამარცხა (2:0, 0:1).

### ომონია (კვიპროსი)

ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატის მეორეადგილოსანი ბათუმის „დინამოს“ მეტოქე კვიპროსის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი „ომონიაა“. თუ გავითვალისწინებთ კვიპროსული ფეხბურთის ბოლოდროინდელ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც აღმავლობას, ზღვისპირელებს იოლი ბრძოლა ნამდვილად არ ელით.

ნიქოზიური კლუბი 1948 წელს დაარსდა და თავის ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბად ითვლება. 20 ქვეყნის ჩემპიონობა და 14 თასი — ასეთია „ომონიას“ ნადავლი შინაურ ასპარეზზე.

ცხადია, კვიპროსული კლუბი ევროტურნირზე შედეგიანობით არ გამოირჩევა და არც რაიმე სენსაციური გამარჯვებისთვის მიუღწევია, მაგრამ საშუალო გუნდებთან საკმაოდ თანაბრად ირჯება.

„ომონიას“ კოსტას კაიაფასი წვრთნის — ეს სახელი არც სამწვრთნელო კარიერით არის ცნობილი და არც ფეხბურთელობის დროს გამოირჩეოდა დიდად. ერთია, კვიპროსის ნაკრების მაისური 23-ჯერ აქვს მორგებული და ერთი გოლიც გაუტანია.

გუნდის ძირითად ბირთვს, ცხადია, ლეგიონერები შეადგენენ: 37 წლის პორტუგალიელი ნუნუ ასისი თავის დროზე ლისაბონის „ბენფიკაში“ თამაშობდა და კვიპროსული გუნდის კაპიტანია. 30 წლის ბენინელ თავდამსხმელ მიკელ პოტეს საფრანგეთის პირველ ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. სლოვენიელი ანდრიაჟ კირმი ეროვნული გუნდის წევრია — 67 მატჩი, 6 გოლი.

კვიპროსული კლუბის ღირსებას იცავს საქართველოს ნაკრების მარჯვენა მცველი, 28 წლის უჩა ლობჟანიძე.

ამ გუნდის მაისური ნახევარმცველ შოთა გრიგალაშვილსა და ცენტრალურ მცველ ლევან კაკუბავასაც მოურგიათ.

### გაბალა (აზერბაიჯანი)

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, თბილისის „დინამოს“ მეტოქე აზერბაიჯანული „გაბალა“ იქნება.

10 წლის წინ დაარსებული კლუბი დიდი ისტორიით ვერ დაიკვეხნის და არც საერთაშორისო გამოცდილება გააჩნია. პირველ წარმატებას მხოლოდ 2014 წელს მიაღწია, როდესაც „გაბალას“ ცნობილი რუსი სპეციალისტი იური სიომინი წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით 2013-14 წლების სეზონში აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში III ადგილი დაიკავა, თასის ფინალშიც გავიდა და, რაც მთავარია, კლუბის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროტურნირების საგზური.

ევროტურნირებზე დებიუტი ერთი წლის წინ ჰქონდა, როცა ევროპალიგის პირველ ეტაპზე ბოსნიურ „ბრიეგთან“ ორი მატჩის ჯამში 0:5 დამარცხდა.

ესაა და ეს — „გაბალა“ მეტით ვერაფრით „დაიკვეხნის“.

გუნდის მთავარი მწვრთნელი 2014 წლიდან უკრაინელი რომან გრიგორჩუკია. გამორჩეული ფეხბურთელიც უკრაინელია — ოლექსეი გაი, რომელსაც თავის დროზე დონეცკის „შახტარში“ უთამაშია. „გაბალა“ არც ლეგიონერების ნაკლებობას უჩივის. მათი სახელები არაფრისმთქმელია, ქვეყნები საფეხბურთო და ეგზოტიკური — ბრაზილია, რუმინეთი, ბელარუსი, უკრაინა, ესტონეთი, ნიგერია.

ბოლო წლებში უკვე ტრადიციასავით იქცა ევროტურნირებზე ქართული და აზერბაიჯანული გუნდების დაპირისპირებები, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელ ორ შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე ჩვენი მეზობლები გადიოდნენ: აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა „ნეფთჩიმ“ ჯერ „ზესტაფონი“ ჩამოიცილა გზიდან, მერე — „ჩიხურა“.

### ბოტოშანი (რუმინეთი)

საქართველოს ევროტურნირებზე კიდევ ერთი გუნდი, „ცხინვალი“, წარადგენს, კახა კაჭარავას გუნდის მეტოქე ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კი რუმინული „ბოტოშანი“ იქნება.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში „ბოტოშანს“ გაუმართლა — გუნდმა ჩემპიონატში მხოლოდ მე-8 ადგილი დაიკავა, მაგრამ მის წინ მყოფმა გუნდებმა — „კლუჟმა“, „პეტროლულმა“, „უნივერსიტატიამ“ და „დინამომ“ ევროტურნირებისთვის საჭირო ლიცენზია ვერ მიიღეს. ბოტოშანი არასოდეს გასულა ევროსარბიელზე, ისევე, როგორც ცხინვალი.

„ბოტოშანი“ ნორჩი გუნდია — 2011 წელს დაარსდა. აქედან გამომდინარე, რამე განსაკუთრებული ტიტულებით ვერ დაიკვეხნის და, როგორც უკვე გითხარით, ევროსარბიელზეც წლეულს პირველად ითამაშებს.

მთავარი მწვრთნელი რუმინელი ფლორიან გროზავუ გახლავთ, რომელიც ამ გუნდში 2014 წლის იანვრიდან მუშაობს. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კი ლასლო ჰადნაჯი გახდა, რომელმაც რუმინეთის ჩემპიონატში თავი 9-ჯერ გამოიჩინა.

„ბოტოშანის“ შემადგენლობის ძირითადი ბირთვი რუმინელი მოთამაშეებისგან არის დაკომპლექტებული.

ლეონტინ გროზავუს გუნდში გამორჩეულნი არიან შემტევი ნახევარმცველი გაბრიელ ვაშვარი და ზემოთ ნახსენები ჰადნადი. „ბოტოშანის“ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრებში იწვევენ, ფორვარდი კვენტინ მარტინუსია, რომელიც კიურასაოს ღირსებას იცავს. ბულგარელებს, მეკარე პლამენ ილიევსა და მცველ რადოსლავ დიმიტროვს ნაკრებში იშვიათად იძახებდნენ.

# გოლები საკუთარ კარში

ხშირად ფეხბურთში ისეთი რამ ხდება, რაც აბსურდულია სპორტის ამ სახეობის მიმართ. ამის მაგალითად საკმარისია ავიღოთ 1994 წლის კარიბის თასის შესარჩევ ტურნირზე მომხდარი ფაქტი, სადაც ბარბადოსისა და გრენადას ნაკრებები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

საკვალიფიკაციო ჯგუფში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ტრინიდადსა და ტობაგოში გასამართ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბარბადოსს ორბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა, გრენადას კი ერთი ბურთიაც რომ წაეგო, თავი ქუდში ჰქონდა.

აქამდე ჯერჯერობით თითქოს უცნაური არაფერია. ასეთი რამ ათასჯერ გვინახავს, მაგრამ საინტერესო დეტალი ის გახლდათ, რომ ტურნირის წესების მიხედვით ფრის შემთხვევაში დამატებითი დრო ინიშნებოდა, სადაც „ოქროს გოლისა“ და შემდგომი თერთმეტმეტრიანების წესი მოქმედებდა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ პენალტების სერიაში ან ოქროს გოლის წყალობით გამარჯვებულ გუნდს 2:0 მოგება ეთვლებოდა ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც ბარბადოსს სჭირდებოდა.

ახლა თავად მატჩის პერიპეტიებს მივყვეთ. ყველაფერი ჩვეულებრივ დაიწყო და გუნდებიც ალალად ცდილობდნენ, ერთმანეთის კარი დაელაშქრათ, თუმცა, რაც დრო გადიოდა, ბარბადოსის შანსები სულ უფრო მცირდებოდა. ისინი 2:1-ს იგებდნენ და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ, რომელიც ვერა და ვერ გაიტანეს.

87-ე წუთზე ბარბადოსელთა ტვინში გენიალური გეგმა ამოქმედდა — რა მოხდებოდა, თუ ისინი საკუთარ კარში გაიტანდნენ? რა მოხდებოდა და მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, შემდეგ კი, ოქროს გოლის ან პენალტების წყალობით, შეეძლოთ, სასურველი 2:0 დაეფიქსირებინათ.

ასეც გადაწყვიტეს. ორმა ბარბადოსელმა, სილიმ და სტაუტმა, ბურთი ერთმანეთში გაათამაშეს, შემდეგ კი სილიმ აიღო და საკუთარ კარში „აუღებელი“ დაარტყა — 2:2

გრენადა დაიბნა, ფეხბურთელები თავიდან ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა მათ თავს, მაგრამ ბოლოს, რა თქმა უნდა, გაიაზრეს, მიხვდნენ, რომ ფრეს წაგება ერჩივნათ და ახლა გრენადამ შეუტია თავის კარს.

ბარბადოსელებს ეს ვარიანტიც გათვლილი ჰქონდათ — სილი მეტოქე მეკარის უკან დადგა და დიდი მონდომებით იცავდა კარს, რომელშიც მოწინააღმდეგე ავტოგოლის გატანას ცდილობდა. ზოგიერთი გრენადელი მეტოქის კარისკენაც იწევდა, მაგრამ — უშედეგოდ.

საბოლოო ჯამში, ბარბადოსმა სასურველი ფრე შეინარჩუნა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, რომელიც „ოქროს გოლის“ წყალობით მოიგო კიდეც და კარიბის თასის ფინალურ ეტაპზე მოხვდა.

— თავს მოტყუებულად ვგრძნობ. კაცი, რომელმაც ეს წესები მოიფიქრა, საგიჟეთში უნდა დაამწყვდიო. მოედანზე ამდენი დაბნეული ფეხბურთელი არ უნდა დარბოდეს. ჩემი გუნდის წევრებმა ვერ გაიგეს, ვისთვის შეეტიათ, საკუთარი კარისთვის თუ მეტოქისთვის. ფეხბურთში, წესით, მოწინააღმდეგის კარის აღებისთვის უნდა გაისარჯო და არა პირიქით. — განაცხადა მატჩის შემდეგ გრენადას მთავარმა მწვრთნელმა ჯეიმს კლარკსონმა.

# ბრაზილია პარაგვაის წინააღმდეგობის დაძლევას შეეცდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბრაზილიის ნაკრებისთვის ეს კოპა ამერიკა ერთგვარი შანსია იმის, რომ საკუთარი ქომაგის წინაშე ოდნავ მაინც გამოისყიდოს ის დანაშაულის შეგრძნება, რაც შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ყველა ბრაზილიელ ფეხბურთელს დაუტოვა. ბრაზილიელების მთავარი პრობლემა ნეიმარის არყოფნაა, რომელმაც 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო არასპორტული საქციელის გამო. ინციდენტი ბრაზილია-კოლუმბიის მატჩის შემდეგ მოხდა. ნეიმარმა ბარსელონაში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ის ბრაზილიის ნაკრების უდავო ლიდერია, რომელზეც ყველა გულშემატკივარი დიდ იმედებს ამყარებს. ნეიმარმა ბოდიში მოიხადა ამ ინციდენტის გამო და თქვა, რომ მან ვერ შეძლო ემოციების მოთოკვა და შეეცდება მსგავსი რამ მომავალში არ განმეორდეს.

ნეიმარის ადგილს მოედანზე რობინიო დაიკავებს, რომელიც ამჟამად მშობლიური სანტოსის ღირსებას იცავს. რობინიო ამ ტურნირზე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე 31 წლის ვეტერანია.

ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ დუნგას ხშირად აკრიტიკებენ შემადგენლობის არასწორად შერჩევის გამო. დუნგასთვის ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ მან თავისი პოსტი დატოვოს.

ბრაზილიაში საკმაოდ ხშირად იცვლება ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როდესაც გუნდი საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება. დუნგამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ნეიმარი მისი გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ბრაზილიის ნაკრებს მის გარეშეც შეუძლია კოპა ამერიკის მოგება. დუნგას თქმით, პარაგვაის საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს, რომლის დასამარცხებლადაც საჭიროა თითქმის იდეალური თამაში.

ჯგუფურ ეტაპზე პარაგვაიმ არგენტინასთან 2 ბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრა და შეხვედრა, რომელსაც 0-2 აგებდა, ფრედ დაასრულა. ეს მატჩი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პარაგვაი არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი.

ტურნირის მასპინძელი ჩილე უკვე ნახევარფინალშია, სადაც მისი მეტოქე პერუს ეროვნული გუნდი იქნება. ჩილეს არასოდეს არ აქვს კოპა ამერიკა მოგებული და ნაკრების ფეხბურთელებს შეუძლიათ ისტორიაში შევიდნენ, თუ ისინი მოახერხებენ ამ ტურნირში გამარჯვებას. მათ მხოლოდ ორი შეხვედრა დარჩათ მოსაგები.

კოპა ამერიკას ფინალი 4 ივლისს გაიმართება.

# ლაშა კასრაძე ხიზანიშვილსა და დინამო-გაბალას წყვილზე საუბრობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ვიცოდი, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს, თუმცა ეს არ მაშინებს. ამისგან პრობლემას არ ვქმნი. კონტრაქტი საკმაოდ მისაღები პირობებით შემომთავაზეს.

***— „აზალში“ თქვენთვის რაიმე მიუღებელი იყო? გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ტარლან ახმედოვმა რა თქვა, როდესაც გუნდს ტოვებდით?***

— ტარლან ახმედოვი საუცხოო ადამიანი და კარგი მწვრთნელია. მას ვესაუბრე და პრობლემა არ ყოფილა. კლუბმა შესაბამისი დოკუმენტები მომცა და წავედი. „აზალს“ ყოველთვის წარმატებას ვუსურვებ.

***— ამბობენ, რომ „აზალსაც“ ფინანსური პრობლემები აქვს. გუნდიდან ამ მიზეზით ხომ არ წახვედით?***

— მცირე პრობლემები იყო, თუმცა ამის გამო არ წავსულვარ. უბრალოდ, „ინტერში“ ქართველი მწვრთნელია და ჩემთვის ამ გუნდში უკეთესია.

***— „ინტერში“ ქართველი ფეხბურთელები ასევე არიან. ალბათ, ადაპტაციის პრობლემა არ გექნებათ.***

— დიახ და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი უპირატესობაა.

***— დაცვაში ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად ითამაშებთ.***

— ზურა ძალიან გამოცდილი მოთამაშეა. მისგან ბევრი რამ შემიძლია ვისწავლო და შევეცდები, ეს გავაკეთო.

***— აზერბაიჯანიდან ევროპალიგაზე კიდევ ერთი წარმომადგენელი, „გაბალა“, ქართულ კლუბს შეხვდება. შემდეგ ეტაპზე გასვლის ვის მეტი შანსი აქვს — თბილისის „დინამოს“ თუ „გაბალას“?***

— საინტერესო წყვილია. „დინამო“ ძალიან კარგი გუნდია, თუმცა წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

# 17 წლამდე ნაკრები ყვითელმა ბარათებმა დაალალატა

ასტანაში „პრეზიდენტის თასზე“ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები გაიმართა. ჯგუფის პირველადგილოსნის ბედი საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებებს შორის მატჩში გადაწყდა. მატჩი 0:0 დასრულდა და, სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ფინალში ვერ გავიდა. საქმე ის არის, რომ ორივე ნაკრებმა თანაბარი ქულები დააგროვა, ზუსტად ერთნაირი იყო ბურთების შეფარდებაც — 4:1. ტურნირის რეგლამენტის მიხედვით კი გამარჯვებულის ვინაობა გაფრთხილებების რაოდენობამ გადაწყვიტა. საქართველოს ნაკრებს 4 ყვითელი ბარათი ჰქონდა, აზერბაიჯანს — 3. შესაბამისად, ფინალში აზერბაიჯანი გავიდა. საქართველოს ნაკრები ხვალ მე-3 ადგილისთვის მატჩში ყაზახეთს შეხვდება.

გოჩა ავსაჯანიშვილი, 17-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან ცუდია, რომ გამარჯვებული ყვითელი ბარათების მიხედვით გამოვლინდა. მაგრამ რას ვიზამთ? კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ მატჩი პენალტების სერიით დასრულებულიყო. მსაჯმა იცოდა, რომ, სავარაუდოდ, ყველაფერი ბარათებით გადაწყდებოდა და მკაცრად არ სჯიდა მატჩს, თუმცა გაბრაზებული ნამდვილად არ ვარ. ყველაფერი წინ გვაქვს — ბევრი მატჩი და ვეცდებით, ყველაფერი გამოვასწოროთ.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის პირველი ორი მატჩი საქართველოს ნაკრებმა რუსეთისა (2:0) და ბელორუსის (2:1) ნაკრებებს მოუგო.

საქართველოს ნაკრებმა აზერბაიჯანთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გუგეშაშვილი, ნიკოლეიშვილი, ასათიანი, ქაფიანიძე, ვირუბოვი, ხარაბაძე, ნინუა, ქიმერიძე (ბარაბაძე 41), (სპანდერაშვილი 60), ჩაკვეტაძე, ქავთარაძე, ლურსმანაშვილი.

## უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების — სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკა-ცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1.კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების — სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში.თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

# არეულობა სომხეთში

სომხეთი მასობრივმა პროტესტმა მოიცვა. ერევნის ქუჩებში 10.000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა (ცალკეული ცნობებით, პროტესტანტთა რაოდენობა 15.000 აღწევდა). დედაქალაქს მხარი დაუჭირა სიდიდით მეორე ქალაქმა გიუმრიმაც.

— მანიფესტანტები ელექტროენერგიაზე ფასების ზრდას აპროტესტებდნენ, —იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

### ფერადი რევოლუცია?

რუსულმა მედიამ მომხდარი უმალ აშშ-ის ხრიკებად მონათლა. „სომხეთში ფერადი რევოლუცია დაიწყო“,—ამას ყველა რუსული ტელეარხი იტყობინებოდა. როგორც ყოველთვის, რუსები ცდილობენ, სასურველი რეალობად გაასაღონ. მომხდარის წარმოჩენა ამერიკელების ინტრიგად რუსეთისათვის დღეს ყველაზე ხელსაყრელია.



სინამდვილეში პროტესტები სპონტანურ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ბაგრამიანის პროსპექტზე შეკრებილთ არ ჰქონდათ არც მეგაფონი, არც სხვა რაიმე ტექნიკა. არ არსებობდნენ ლიდერები, რომლებიც აქციას ხელმძღვანელობდნენ. როცა პრეზიდენტმა სარქისიანმა განაცხადა, მზად ვარ, აქციის ორგანიზატორებს შევხვდეო, ყველამ ხელები გაასავსავა. აღმოჩნდა, რომ ასეთები, უბრალოდ, არ არსებობდნენ.

— იმას, რაც ერევანში ხდება, ფერად რევოლუციასთან საერთო არაფერი აქვს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მანიფესტანტები არავითარ პოლიტიკურ მოთხოვნებს არ აყენებდნენ. მათ არც ვინმეს გადაყენება სურდათ, არც სომხეთის პოლიტიკური ვექტორის შეცვლა. ისინი მხოლოდ იმას ჩიოდნენ, რომ ელექტროენერგიაზე ფასების მომატება არ შეიძლებოდა.

—ხალხი ამას, უბრალოდ, ვერ გადაიხდის,—განუცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ რადიო „თავისუფლების“ წარმომადგენელს.

ამ მოსაზრებას შეკრებილნი იმით ასაბუთებდნენ, რომ ფასების მომატების შემთხვევაში ელექტროენერგიისა და გაზის ღირებულება საშუალო ხელფასზე მეტი ხდებოდა. ასეთ თანხას ვერც პენსიონერი, ვერც საშუალო შეძლების მოქალაქე ვერ გადაიხდიდა.

—მოგეხსენებათ, სომხეთი მთაგორიანი ქვეყანაა! რა ვქნათ ზამთარში, სიცივით დავიხოცოთ?!—კითხულობდნენ შეკრებილნი.

ზოგიერთი შორეულ 1991-92 წლებს იხსენებდა, როცა საბჭოთა იმპერია დაინგრა, სომხეთი კი სიცივესა და სიბნელეში ჩაიძირა. ხალხი, ელემენტარულად, სიცივით იხოცებოდა, სამშობიაროში კი სიცივისაგან ბავშვები იღუპებოდნენ.

### არასწორი პოლიტიკის შედეგი

დიდი ლატვიელი პოეტი და სომხური კულტურის არანაკლები თაყვანისმცემელი იან რაინისი წერდა, რომ სომხეთს რუსეთის მიმართ უდიდესი ილუზიები ჰქონდა, რამაც ამ უძველეს ერს უდიდესი უბედურებები დაატეხა. რაინისი ყურადღებას ამახვილებდა 1918-20 წლების ტრაგიკულ მოვლენებზე და წერდა:

—სომხეთის ელიტას ბრმად სჯეროდა, რომ დიდი სომხეთის შექმნა, თუნდაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რუსეთის ინტერესებში არ იჯდა. რუსებს მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ სომხეთის გამოყენება სურდათ. მოგვიანებით, უკვე ცარიზმის დამხობის შემდეგ, რუსმა თეთრგვარდიელებმა სომხეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენეს. შემდეგ საქართველო-სომხეთის ძმათამკვლელი ომი იყო,—რაინისი ამას 1925 წელს ამბობდა.

სამწუხაროდ, სომხეთში წარსულის სრულფასოვანი გაანალიზება ვერ შეძლეს. როგორც კი საბჭოთა იმპერიამ რყევა დაიწყო, სომხეთმა მოითხოვა არა დამოუკიდებლობა, არამედ მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთება. შედეგი სუმგაითის ხოცვა-ჟლეტა და აზერბაიჯანთან ომი იყო. სომხეთიც იძულებული გახდა, თვალი რუსეთისაკენ მიეპყრო და ამიერკავკასიაში რუსეთის ერთადერთი მოკავშირე გამხდარიყო. რუსეთის დახმარებით მთიანი ყარაბაღიდან აზერბაიჯანელთა განდევნა მოხერხდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სომხეთს მხოლოდ საკუთარი რესურსებით ყარაბაღის ანექსია არ შეეძლო.

—სსრკ-ის შენარჩუნების შემთხვევაში არსებობდა ცენტრში საქმის ჩაწყობისა და ყარაბაღის ასათვისებლად გარკვეული თანხების მოზიდვის შანსი. სსრკ-ის დანგრევის შემდეგ ეს შანსი ნულს ტოლი გახდა,—წერდა ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსი, აწ განსვენებული ვიაჩესლავ ჩერნოვილი.

ყარაბაღმა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის გაუვალი უფსკრული წარმოშვა. ამან თურქეთთან მტრობაც გამოიწვია. იზოლირებული სომხეთი მთლიანად რუსეთის იმედზე აღმოჩნდა, რამაც სრულფასოვანი სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი გახადა.

—სომხეთში შექმნილია კლანურ-პოლიციური რეჟიმი. ყველაფერი არა სახელმწიფოს, არამედ კლანების ინტერესებიდან გამომდინარე წყდება. მართალია, ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ უკრაინაში საქართველოში, მოლდოვაში სიტყვის თავისუფლება მაინც არსებობს, სომხეთში კი ავტორიტარიზმის ხარისხი მაღალია,—წერდა ჩენოვილი.

### მოთმინებასაც საზღვარი აქვს

მოსკოვში შექმნილ მდგომარეობას კარგად აცნობიერებდნენ. სომხეთს რუსეთის იქით გზა არ დარჩა—ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ეს ტელეეკრანებიდან ნიშნის მოგებით განაცხადა. ამას სხვა რუსი პოლიტოლოგები (მარკოვი და ა.შ.) ხშირად იმეორებდნენ. პრეზიდენტი პუტინიც აშკარად გამოხატავდა იმავეს. სომხეთის ხელისუფლებას კი „ევრაზიულ კავშირში“ შესვლა არ სურდა.

—ჩვენ როგორც ევროპასთან, ასევე რუსეთთან კარგი ურთიერთობები გვსურს,—ამბობდა პრეზიდენტი სარქისიანი. ის მართლაც ცდილობდა, ასე ყოფილიყო. მაშინ პუტინმა ნაცად მეთოდს ანუ შანტაჟს მიმართა. მან სომხეთის პრეზიდენტს განუცხადა: თუკი გაჯიუტდებით, ყარაბაღში აზერბაიჯანული არმია შემოიჭრება და, ვინ იცის, სად გაჩერდებაო. ამან გაჭრა. სომხეთი „ევრაზიულ კავშირში“ შესვლას დათანხმდა.

—„ევრაზიულ კავშირში“ შესვლამ სომხეთის სუვერენიტეტი კიდეც უფრო შეზღუდა, —იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მოსკოვშიც სომხეთს, როგორც დამორჩილებულ ქვეყანას, ისე უყურებდნენ. სომხეთში დისლოცირებული რუსი ჯარისკაცები აშკარად გამომწვევად იქცეოდნენ. „პატივი ეცი რუს სალდათს! ჩვენ რომ არ ვიყოთ, თურქი შემოვა!—ამას არყით შეხურებული რუსი სამხედროებისაგან სისტემატურად გაიგონებდით. მთვრალი რუსები არც სომეხი მოქალაქის ცემა-შეურაცხყოფას ერიდებოდნენ, რის გამოც არაერთი ექსცესი მოხდა.

რუსეთზე დამოკიდებულებამ მტკივნეულად იჩინა თავი ენერგეტიკაში. კომპანია „სომხური ელექტრონული ქსელები“ ადგილობრივ ენერგობაზარზე მონოპოლისტი გახდა. ის „ინტერ რაოს“ შვილობილი კომპანიაა. ამრიგად, სომხური ენერგეტიკაც, ფაქტობრივად, რუსეთის ხელში აღმოჩნდა. „ინტერ რაომ“ ამით ისარგებლა და ფასების უკონტროლოდ გაზრდა დაიწყო.

ბაგრამიანის მოედანზე შეკრებილი მომიტინგენი მომხდარში სომხეთის ხელისუფლებას ადანაშაულებენ. ისინი ფიქრობენ, რომ „ინტერ რაოს“ მონოპოლისტად გადაქცევა სომხეთის გარკვეულ გავლენიან დაჯგუფებას ხელს აძლევს. „ინტერ რაოს“ შვილობილი კომპანიის დაუსჯელობაც ამან განაპირობა.

— ჩვენ სომხურ ელექტრონულ ქსელებთან პრეტენზია არა გვაქვს. პრეტენზიები გვაქვს ჩვენს მთავრობასთან, რომელიც ხალხზე კი არა, პირად გამდიდრებაზე ზრუნავს,—აცხადებენ ბაგრამიანს მოედანზე შეკრებილნი.

### ძალის გამოყენება გარდაუვალია?

პროტესტის პირველ დღეს ხელისუფლებამ ცადა აქციის ძალის გამოყენებით დაშლა. მომიტინგეებისკენ წყლის ჭავლი მიუშვეს. ამან შედეგი არ გამოიღო. ბაგრამიანის მოედანზე შეკრებილთა რაოდენობამ ერთიორად იმატა. სომხეთის პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, მწერლები მომიტინგეებსა და პოლიციას შორის ჩადგნენ. ხელისუფლებაც იძულებული გახდა, უკან დაეხია.

—მიუხედავად ამისა, მომიტინგეები დაშლას არ აპირებდნენ,—იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სომხეთის პრემიერმა აბრაამიანმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ მოთხოვნა ელექტროენერგიაზე ფასების არგაზრდის თაობაზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა. მისი აზრით, ფასების ზრდა არა კლანური ინტერესებით, არამედ აუცილებლობითაა გამოწვეული. ბაგრამიანის მოედანზე შეკრებილი მომიტინგენი ამას კატეგორიულად არ ეთანხმებიან:

—სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ გაიზიარებენ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით, —ამბობენ ისინი.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა უაღრესად საშიში ხდება. რადგან არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს, გამოდის, რომ ძალის გამოყენება გარდაუვალია, რაც ბევრს აშფოთებს.

—თუკი ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა, შედეგები ძალიან მძიმე იქნება, — ამბობს სომხეთის უშიშროების ექსპერტი შახნაზარიანი.

### რა მოხდება შემდეგ?

სომხეთში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ დამღუპველი შედეგებით მთავრდება კლანურ-ავტორიტარული რეჟიმის საქმიანობა. ვითარება საქართველოსათვისაც რიგ რისკფაქტორს შეიცავს. რუსეთის ტელეეთერიდან უკვე გაისმის მოწოდებები, რომ სომხებმა ანტისახელისუფლებო აქციები კი არ უნდა მოაწყონ, არამედ თავიანთი ეროვნული ინტერესები დაიცვან, კერძოდ, აიძულონ საქართველო, რათა სოხუმისაკენ რკინიგზა გახსნან, მეტი აქტიურობა გამოიჩინონ ჯავახეთში და ა.შ.

სომხეთში განვითარებული მოვლენები სათანადოდ უნდა იქნეს გაანალიზებული. საქართველო ნებისმიერი გამოწვევისათვის მზად უნდა იყოს.

**ნიკა თევზაძე**

---

პრეზიდენტის რწმუნებულს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბატონ ნუგზარ ყიფიანს
დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვაჟა ჩოხელს

## *განცხადება*

გულსატკენია, რომ პატარა თუ დიდი საქმეები ყოველთვის პატარა თანამდებობიდან დაწყებული, მაღალი თანამდებობის პირებთან მიტინგებით უნდა გადაწყდეს.

სოფელ ცხისძირში რაც ეს ახალი გზა გაიხსნა, ერთი კილომეტრის სიგრძეზე 20 ადამიანის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. აგერ ერთი მიცვალებული გივი ფოცხვერაშვილი დასვენებული გვყავს სახლში. თვე-ნახევრის წინ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო საავადმყოფოში რეანიმაციაში გვიწევს უგრძნობლად მალხაზ ჯღუნიაშვილი. ეს ერთკილომეტრიანი გზა სოფელს შუაზე ყოფს. ავტოტრანსპორტის დიდი სიჩქარის გამო იღუპება ხალხი, საქონელი. გზას საგზაო ნიშნები გაკეთებული აქვს, მაგრამ საშველი არ არის. გზაზე შემაფერხებელი ხაზები გაუკეთეს ორგან, ერთ თვეში მოიშალა. სანამ ავტოინსპექცია იდგა, ავტოსაგზაო შემთხვევები არ ხდებოდა. ახლა აღარც ავტოინსპექცია, აღარც შემაფერხებელი ხაზები, დიდი მოძრაობაა ორმაგი და სამმაგი გადასწრებით, ხალხი აღშფოთებულია. საჭიროა, შემაფერხებელი ხაზები 5 ადგილზე მაინც გაკეთდეს.

ბატონებო, თუ შეუძლებელია საკითხი დროულად მოაგვარონ სათანადო ორგანოებმა, მაშინ ჩვენ ქვების ლოდებით მოვაწყობთ შემაფერხებელ ხაზებს.

დუშეთის რაიონის სოფელ ცხისძირის მოსახლეობის სახელით, შალვა ყარმაზანაშვილი

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებამდე!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა [illegible] 100%-იანი. [illegible]

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 29 ივნისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ზუ" "მანონი" 09.30 "სადილის დრო" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.20 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.30 მხ/ფ **"ოდრი ფეპბერნის თავგადასავალი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ **"კონკორდი 79"** (ა.დელონი) 01.30 მხ/ფ **"ჩემი გულის სალბუნი"**

08.00 დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" 09.00, 11.00 მხ/ფ **"დედმამიშვილები"** 1-2 სერ. 10.30 დ/ფ "ფლორენცია-ტოსკანა" 12.30 დ/ფ "ტაილანდი" 13.00 "აფხაზეთი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 მხ/ფ **"ნონ-სტოპი"** 00.15 მხ/ფ **"დიდი ქორწილი"** 02.00 მხ/ფ **"ბინძური თამაშები"** (რ. რედფორდი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 X-ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია "ნიქოზელის სამწყსო ჩრდილოეთ კავკასიაში " 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.10 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** X I 07.45 თვენი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ვედრება"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "ასურგასის დღე" 17.05 დეკორატიული ფლორა "იასამანი" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"იავნანა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი 21.35 ღვთის სახლი 21.50 ჩვენი ამბავი 22.25 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ბოლნისი 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 22.50 მუს.პაუზა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დოკ.ფილმი 00.25 სათავეებთან 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30**სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

## სამშაბათი 30 ივნისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ზუ" "მანონი" 09.30 "სადილის დრო" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.20 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.30 მხ/ფ **"მტირალა"** (ჯ.დეპი) 14.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 15.00, 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ **"ნათურებიანი მხედარი"** (ჯ.ფონდა) 01.00 მხ/ფ **"სამეფო"**

08.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ერთი ერთში 00.00 შალვა რამიშვილის შოუ 01.00 მხ/ფ **"საუკეთესო რაც კი ჩემშია"** (ჯ.მერდსენი) 03.25 მხ/ფ **"ნონ-სტოპი"** (ჯ.მური)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.20 სპექტაკლი 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ბოლნისი 11.00 თაობა ზეტი 11.30 ჩვენი ამბავი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 სათავეებთან 16.20 დოკ.ფილმი "ჰერეთი" 17.00 მგზავრები წუთისოფლისა 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 თვენი 19.50 მუს.პაუზა 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დოკ. ფილ. 00.30 "ერთსულოვნების სალონი" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "თქვენი გადახდილია" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 გადაცემა "IZOS-ანალიზი" 22.50 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

## ოთხშაბათი 1 ივლისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ზუ" "მანონი" 09.30 "სადილის დრო" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.20 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.30 მხ/ფ **"ბოროტების ქსელი"** (ტ.ჰენკსი) 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 15.00, 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ **"სილარიბესა და სიმდიდრეში"** 00.00 მხ/ფ **"შიშის კონცხი"** (გ.პეკი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 ერთხელ საქართველოში 00.35 მხ/ფ **"მონობა"** (კ.კლაინი 03.00 მხ/ფ **"საუკეთესო რაც კი ჩემშია"** (ჯ.მერდსენი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "ნანუკას შოუ" 23.55 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.10 დოკ.ფილმი "ჰერეთი" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 10.40 ბავშვები მუზეუმში 11.20 დოკ.ფილმი 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 დოკ.ფილმი "ჰერეთი" 16.50 კვირიაკე 17.45 საქართველოს სამართლის ისტორია 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფილმი 00.30 დოკ. ფილ. 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.00 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "თქვენი გადახდილია" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

## ხუთშაბათი 2 ივლისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ზუ" "მანონი" 09.30 "სადილის დრო" (გ/ჩვ) 10.20 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 მხ/ფ **"ყოვლისშემძლე ევანი"** 14.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 15.00, 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.40 "უცნობი მუსიკა" 01.10 მხ/ფ **"სასიკვდილო რბოლა"** (ჯ.სტეტჰემი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.35 მხ/ფ **"რედი"** (ჯ.მალკოვიჩი) 02.45 მხ/ფ **"მონობა"** (კ. კლაინი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ისტორიის გაკვეთილი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 "ერთსულოვნების სალონი" 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ 13.15 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 საყმაწვილო ენციკლობედია 16.10 კონცერტი 16.55 სალვთისმეტყველო საუბრები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 19.55 მოკ/ფ **"ქოლგა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 განათლება გამოგვარჩევს 22.25 კარაბადინი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფილ. 00.30 დიდ ხარ შენ უფალო. "მეფე დავითი" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 1.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 გადაცემა "IZOS-ანალიზი" 22.50**სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 1.30 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

## პარასკევი 3 ივლისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ზუ""მანონი" 09.30 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 10.30 "სადილის დრო" 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 მხ/ფ **"მავნე ფრედი"** 14.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 15.00, 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ: I სტუდია 00.00 მხ/ფ **"ბორნის უპირატესობა"** (მ.დეიმონი) 02.00 მხ/ფ **"არსად მყოფი ბიჭი"**

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00, ქრონიკა 10.05 სერ **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 რეაქცია 00.00 შალვა რამიშვილის შოუ 01.00 მხ/ფ **"პატრული"** (ჯ. ჯილენჰოლი) 03.10 მხ/ფ **"რედი"** (ჯ. მალკოვიჩი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 54 (სეზ 7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ.ფილმი "ჰერეთი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ.ფილ. 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 საყმაწვილო ენციკლობედია 16.30 კონცერტი 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი ) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 ძველი აფიშა 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ანანური, ერისთავთა საგა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ.ფილმი 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.00 "მაესტროს ახალი ამბები" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 გადაცემა "მონიტორი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

გჰჳუჰფჳტ,ბ ბ,ტზლტ,ფ ცფფუტჸნჯ ჰბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

## შაბათი 4 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ან./ფ "ზუ" "მანონი" 10.00 მხ/ფ **"ნევერლენდი"** 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – **"მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი"** 14.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 15.00, 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "გურმანია" 17.00 "ჩვენი ეზო" 17.30 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 18.30 ქარ. ტ/ფ **"ბედნიერი შეხვედრა"** 22.00 "მეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"ცოფიანი ქალი და გლორი"** (რ.დე ნირო) 01.35 მხ/ფ **"ხუნისა თვალები"**

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "ბრინჯის მელიობელები" 12.55 მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** 14.35 დ/ფ "საზღვრებით-ათენი" 15.00 დ/ფ"ბერლინი" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დ/ფ "შტანდრების ოჯახი" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 მხ/ფ **"როდესაც პოლი გამოჩნდა"** (ჯ.ენისტონი) 22.00 ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** 23.00 მხ/ფ **"ამაოების ბაზარი"** (რ.უიზერსპუნი)

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 ქ.მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 იმედის გმირები 11.35 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** 6 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ **"სამი დღე გაქცევისთვის"** (ე.ჰერდი) 01.35 მხ/ფ **"ყურმილის იქითა მხარე"** (შ.სარანი) 03.25 მხ/ფ **"პატრული"** (ჯ. ჯილენჰოლი

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 მოგზაურობა გ.გაბუნიასთან 14.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 15.30 X-ფაქტორი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 55 (სეზ.7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.20 თბილისის ტაძრები 06.40 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი). გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ.ფილ. 10.50 კვირიაკე 11.00 ჩვენი ამბავი 12.10 მოკ/ფ **"ბელურების გადაფრენა"** 13.25 განათლება გამოგვარჩევს 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 თაობა ზეტი 16.40 კონცერტი 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ძალურცლისგან 12 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 წმ. მიქაელ ყულოშვილი-დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა "იასამანი" 19.35 ქართული ალბომი 20.00 ქრისტიანული ხელოვნება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ერთსულოვნების სალონი" 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ.ფილ. "წმ. კირილე ალექსანდრიელი" 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ **"გვირაბი"** I

მაესტრო

7.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.30 "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "ნარჩიტა"** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00, 20.05 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 მხ/ფ **"ნიუპ-ორკის მეფე"** 1.00 **სერიალი "რვაფეხა"**

## კვირა 5 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ან./ფ "ზუ""მანონი" 10.00 მხ/ფ **"ნევერლენდი"** 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 "ქართული ჯარი" 13.30 "ვაშინგტონი დღეს" 14.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 14.25 ავტორბოლა. საქართველოს ჩემპიონატი. 15.05 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "გურმანია" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "სამეფო სასტუმრო" 18.00 მხ/ფ **"ნოთინგ ჰილი"** (ჯ.რობერტსი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 22.00 თ. ბაბლუანის ფილმების რეტროსპექტივა: 23.30 კონცერტი: ნინო მაჩაიძე 00.30 ავტორბოლა. საქართველოს ჩემპიონატი. 02.30 მხ/ფ **"მინდიხარ"** (რ.ვაისი)

08.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 09.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 დ/ფ "ალის პირისპირ" 11.35 დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" 12.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 13.00 მხ/ფ **"ორი ძმა"** 14.40 დ/ფ "რომი" 15.05 მხ/ფ **"ცისფერთვალება მიკი"** (ჰ.გრანტი) 16.30 დ/ფ "თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" 17.00 "აფხაზეთი" 18.00 დ/ფ "აილე-ვისკის საიდუმლო" 18.00 მხ/ფ **"ბორნის იდენტიფიკაცია"** (მ.დეიმონი) 20.00 მხ/ფ **"განქორწინება"** (ჯ.ენისტონი) 22.00 ტ/სერ. **"ბედისწერის არჩეული"** 23.00 "ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30 მხ/ფ **"ელისაბედი"** (კ.ბლანშეტი)

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 მხ/ფ **"ყურმილის იქითა მხარე"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** 6 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.30 ერთი ერთში 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ **"ფლინინით"** (პ.დეინი) 01.40 მხ/ფ **"ქუჩის ცეკვა"** (რ.უინსორი) 03.20 ფარული კამერა

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ 10.30 სახლი 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 ქ.მხ/ფ 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 56 (სეზ.7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.20 განათლება გამოგვარჩევს 06.40 კვირ. სიუჟ 06.50 წმ. მიქაელ ყულოშვილი-დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე 07.30 მულტ.ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** XII 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მულტ.ფილმი ქართული 15.40 მუს.პაუზა 15.55 "ერთსულოვნების სალონი" 16.45 ეპოქის სახელები 17.40 ბავშვები მუზეუმში 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ **"საფეხურები"** 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 საქართველოს სამართლის ისტორია 23.15 სალვთისმეტყველო საუბრები 00.30 "პორტრეტები" 01.20 მხ/ფ **"გვირაბი"** II

მაესტრო

7.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.30 "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 **სერიალი "ნარჩიტა"** 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00 **სერიალი "კატერინა"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "რვაფეხა"**

# fcnhjghjuyjpb

**27 ივნისისთვის**



**ვერძი** — იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებებს ნუ გასცემთ. **კურო** — თავი აარიდეთ საეჭვო ნაცნობობას. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** — დიდი ყურადღება გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებთან და ფინანსებთან დაკავშირებით. დღეს მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — ნუ დაივიწყებთ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც დაგეხმარნენ. ისინი, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში კვლავ გამოჩნდნენ. თავისუფლებას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **ლომი** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. საქმიანი შეხვედრები და მივლინებები სხვა დროისათვის გადადეთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** — შეეცადეთ, ნებისმიერი უსიამოვნება ფილოსოფიურ ჭრილში განიხილოთ. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. დღის მეორე ნახევარში მსუბუქი დეპრესია მოგეძალებათ. **სასწორი** — დღეს განსაკუთრებით აგიმაღლდებათ შრომისნაყოფიერება. კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, ცოდნის მისაღებად. **ღრიანკალი** — კარგი დღეა ბიუჯეტის შესავსებად. თქვენს სიტყვას ფასი აქვს. ყური მიუგდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** — საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებით დაგვირგვინდება. მამაკაცი მშვილდოსნებისთვის პირად ცხოვრებაში საინტერესო სიახლეა მოსალოდნელი. **თხის რქა** — შემოქმედებითი დღეა. გაგიმართლებთ პირად ცხოვრებაში. ძველი მეგობარიც გაგიხსენებთ. საღამოს კარგი იქნება განმარტოება და დასვენება. **მერწყული** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დღეს რეკომენდებული არ არის საყიდლებზე წასვლა. **თევზები** — შესაძლოა, ფინანსური კუთხით მცირე პრობლემა შეგექმნათ. დღეს მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანებთან იკონტაქტეთ.

**28 ივნისისთვის**

**ვერძი** — ვერძებს, რომლებიც საჯარო დაწესებულებებში მსახურობთ, შესაძლოა, დღეს ახალი თანამდებობა შემოგთავაზონ. დაუფიქრებლად დათანხმდით. თქვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა. **კურო** — ნურავის მიენდობით, რათა უნებურად სიცრუის ქსელში არ გაებათ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, ბიუჯეტს გაუფრთხილდით. **ტყუპები** — ნებისმიერი კუთხით რთული დღეა. შეეცადეთ, მისი ნეგატიური ტენდენციები გულთან ახლოს არ მიიტანოთ. თვითანალიზის დრო არ არის. **კირჩხიბი** — საქმიან სფეროში ყველაფერი წესრიგში გაქვთ, თუმცა, შესაძლოა, ახლობელმა ადამიანებმა გული გატკინონ. კირჩხიბთა უმრავლესობა დღეს მნიშვნელოვან პრობლემას მოაგვარებს. **ლომი** — სასიყვარულო ურთიერთობებთან დაკავშირებული თქვენი შიშები და შფოთვა უსაფუძვლო და დროებითია. თამამად იმოქმედეთ. მოთმინებით აღიჭურვეთ და შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** — ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს დიდი ყურადღება მიაქციეთ. კრიტიკაზე რეაგირება არ ღირს. **სასწორი** — კონფლიქტური დღეა. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. სანამ რამეს გადაწყვეტდეთ, ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. ემოციები მაქსიმალურად მოთოკეთ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. შეგიძლიათ, ქალაქგარეთ გახვიდეთ, იმუშაოთ ბაღში. საღამოს, შესაძლოა, ახლობელ ადამიანს თქვენი დახმარება დასჭირდეს. **მშვილდოსანი** — მიზნის მისაღწევად საკმაო ენერგიის დახარჯვა გჭირდებათ. სიტუაციის თქვენ სასარგებლოდ გამოყენებას დღეს, ალბათ, ვერ შეძლებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** — საყვარელ ადამიანს სათუთად მოეპყარით. წონასწორობა შეინარჩუნეთ და ნებისმიერ სიტუაციაში მშვიდად იყავით. **მერწყული** — შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. თუ მთელი ძალების კონცენტრაციას მოახდენთ, ნებისმიერ პრობლემას იოლად მოაგვარებთ. **თევზები** — წარმატებული დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა ნაყოფიერი იქნება.

ᲣᲑᲪᲔᲳᲔᲢ,Ს ,ᲢᲚᲧᲑᲢᲳ ᲚᲥᲢᲡ=

# ეთერ კაკულია გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მომღერალი ეთერ კაკულია გარდაიცვალა. ინფორმაცია მისმა მეგობარმა, რაულ ქირიამ, სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

— ჩემი ეთერი აღარ არის!

მომღერლის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია გასულ წელს გავრცელდა. მის დასახმარებლად არაერთი საქველმოქმედო კონცერტი თუ მარათონი გაიმართა, გაიხსნა სპეციალური საბანკო ანგარიში, ჩაირთო სპეციალური სატელეფონო ნომრები, მოიძებნა საუკეთესო კლინიკა ისრაელში საუკეთესო ექიმებით, თუმცა მომღერლის განკურნება მაინც ვერ მოხერხდა.

ეთერ კაკულია 67 წლის იყო. ათეული წლების განმავლობაში იდგა სცენაზე და სხვადასხვა კომპოზიტორების სიმღერებს მღეროდა. მის რეპერტუარში 200-ზე მეტი სიმღერაა. სიცოცხლის ბოლომდე უმღეროდა თავის ხალხს და საპასუხოდ უსაზღვრო სიყვარულს და სითბოს იღებდა. თბილისის კოლორიტად მიჩნეულ მომღერალს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისი სახელობის ვარსკვლავიც გაუხსნეს.

ეთერ კაკულია მძიმე დაავადებას მხნედ და ენერგიულად ებრძოდა, ის სამკურნალოდ ისრაელში დადიოდა, თუმცა ბოლო ვიზიტის დროს, ექიმებმა მას ქიმიის კურსის ჩატარებაზე უარი უთხრეს და სახლში გამოუშვეს. მომღერალი საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

ეთერ კაკულიას გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო საშუალებებმა არაერთხელ გაავრცელეს, რასაც მომღერალი მძიმედ განიცდიდა და სულ აღნიშნავდა, რომ ვერ იტანდა სიკვდილს, სიცოცხლე ძალიან უყვარდა და 102 წლამდე უნდოდა ეცოცხლა. რაულ ქირიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი, სამწუხაროდ, სიმართლე აღმოჩნდა.

# ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## პაატა გოროდინსკის დედის წერილი

### ძალიან მიყვარხარ, ჩემო ცის ბინადარო!



შვილო, პაატა, როგორ ვთქვა ეს, რომ მე ღმერთმა მომცა ის ბედნიერება, რომ ვიყავი დედა 35 წლამდე შენისთანა შვილის, რომელიც მეძახდა „დედის" — ძალიან ტკბილად და მორიდებით, მაგრამ რა იყო 28 VI 1999 წელი, რომელმაც დამიტოვა შეუხორცებელი ჭრილობა, გაუყუჩებელი ტკივილი, შეუმშრალი ცრემლი, დიდი დარდი, მწარე, მტანჯველი სიცარიელე, ტკივილისგან მიყენებული ჭრილობა, რომელიც ყუჩდება, მაგრამ ნაიარევი არ ქრება, იმიტომ, რომ შენ იყავი სუფთა და მიამიტი, სიყვარულისა და სითბოს მატარებელი, წყენას გულში იკლავდი, ამიტომ გქონდა სევდიანი თვალები... ამ ყველაფერს შენ გარშემო ცხოვრება და შენი მონატრება ჰქვია...

ჩემს ცხოვრებაში დარდს დარდი ემატება, ფიქრს — ფიქრი. დედას ძალიან აკლია შენი სიყვარული და, თუ იცი, მას სიცოცხლე უნდა?! როცა შენზე ვფიქრობ, თავი მავიწყდება, ვინ ვარ, შენი დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ შეჩვევა შესაძლებელი ყოფილა.

შვილო, სიყვარული არც დროზე და არც მანძილზეა დამოკიდებული. შენი შვილი ხარ, შვილი!!!... დედის. დედი, ზოგჯერ ისე გელაპარაკები, როგორც ცოცხალს. დედაშენი დროებით დაშორდა შენს საფლავს, მძიმე დღეები მქონდა. მამაშენმა გზა გამიკვალა და გადავრჩი... გმადლობთ, რომ გაჭირვების პერიოდში ჩემთან ხართ და მეხმარებით. ისე ცუდად ვიყავი, რომ სექტემბრიდან დღემდე შენს საფლავზე 2-ჯერ ვიყავი. საავადმყოფოდან რომ გამოვედი, საფლავის ამოთხრაც კი მინდოდა.

შვილო, მაქვს ისეთი გამოუთქმელი სიტყვების დუმილი, რომელიც შორეთს ფარავს, საიდუმლო უხილავია, როგორც წყვდიადის აჩრდილი, რომელმაც დედაშენის სიცოცხლე შეარყია (გთხოვ, მეორედ დამაყენო გზაზე)... უსამართლო ყოფილა წუთისოფელი. რატომ?! დედას შენნაირი შვილი მიწაში ეგულებოდეს? ეს ჯოჯოხეთია, შეცვლა — შეუძლებელი. ლოდინში ვარ მარადიულ შეხვედრამდე.

ვთხოვ უფალს მორიდებითა და პატიებით შენს მფარველობასა და სამოთხის პატარა ადგილს, სადაც მართალნი განისვენებენ. მართლები ცოცხლები არიან მაშინაც კი, როცა კვდებიან, ცოდვილნი კი ცოცხლებიც მკვდარნი არიან.

ეს ბარათი დედის სულის ტკივილია და მას პაატა ჰქვია.

შვილო, ვიცი, რომ შენ ძალა გაქვს და გთხოვ, ილოცო მათთვის, ვისაც ახსოვხარ და გიგონებს. ილოცე მათთვის, ვინც დედაშენს არ ტოვებს და მფარველობს. ალბათ, შენ მიხვდები, ვისაც ვგულისხმობ.

პაატა, ყოველ წუთს შენთან ვარ, ვიტანჯები 16 წელია, ტანჯვის საშველი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვიკეთებ, რაც ცოცხალ ადამიანს უნდა.

შვილო, შენ დედის ერთადერთო, უსაზღვრო სიყვარულო და უსაშველო ტკივილო. ამას ვერავინ მიხვდება. მტკივა ყველაფერი, ტკივილი ყველასთვის სხვადასხვაა, კარგო... დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

სანთელი გინათებდეს სასუფეველს, ნათელში იყავი, მწარეა უშენოდ სიცოცხლე!

ტანჯული დედა ღუღუნი

# ხვამლის მთაზე უცნობი არქიტექტურული ძეგლები აღმოაჩინეს

ეკა ირემაშვილი

ხვამლის მთის ექსპედიციის მიერ ლეხიდარის, რიონის და ლაჯანურის ხეობის 80-ზე მეტ სოფელში დღემდე უცნობი რამდენიმე ათეული არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლია გამოვლენილი.

ხვამლის მთის კირქვული მასივი დღემდე შეუსწავლელია. რთული რელიეფის და რისკების შემცველ ობიექტზე, კვლევითი ექსპედიციის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, პროექტის პარტნიორია სადაზღვევო კომპანია „არდი".

„ხვამლის მთის კვლევების" პრეზენტაცია ხვამლის მთის ექსპედიციის ხელმძღვანელმა დავით სულხანიშვილმა გამართა. მან მედიას ხვამლის ახალი აღმოჩენები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის პროგრამით გათვალისწინებული ხვამლის მთის არქეოლოგიური კვლევის 2015 წელს განსახორციელებელი სამუშაოები წარუდგინა.

ხვამლის მთის პრეზენტაციას დაესწრო 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის ლეგენდარული ექსპედიციის, ხვამლის ციხექვაბულის გეოლოგიური კვლევის მონაწილე, ამერიკის გეოლოგიური საზოგადოების წევრი, 93 წლის ელენე აბაშიძე, რომელსაც კომპანია „არდმა" ქვეყნის გეოლოგიური სფეროს განვითარებისთვის სადაზღვევო ვაუჩერი გადასცა.

ხვამლის მთის ახალი აღმოჩენები, როგორც ახალი და დღემდე უცნობი არქიტექტურული და არქეოლოგიური ობიექტები, წლის ბოლომდე კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზაში განთავსდება.

## ჰჳჯცეჯჳჩბ ,

**შვეულად:** 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 3. რეგიონი კახეთში; 4. ღვინის დანალექი; 5. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. გამოძახილი ანუ...; 11. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ორგულობა, გამცემლობა, ვერაგობა; 17. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე რომში; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე.

**თარაზულად:** 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. პარიზის ძველი სახელწოდება; 9. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. სადილის ან ჩაის ჭურჭლის მთლიანი კომპლექტი; 12. დასაკეცი ჯიბის დანა; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. დარტყმა კრივში; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. ესპანური გრძელი დასაკეცი დანა; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოს.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიკონავტი; 2. როტორი; 3. რევერსი; 4. დვალი; 5. „ვალმარტი"; 6. ჟესტი; 7. ბიგამია; 9. გრაცია; 13. ატოლი; 17. „გოია"; 18. ერი.

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 3. რონოდა; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. „ტოკაი"; 12. კიშლაკი; 14. „ნარიტა"; 15. პრისტლი; 16. ტემზა; 19. ვოლანი; 20. პინჩერი; 21. დივანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყაზბეგი; 2. პრუდონი; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. ავლაბარი; 7. სკა; 11. თეატრი; 15. „დიადორა"; 16. ხამონი; 17. ვერფი; 18. ოდესა; 20. შაშვი. 22. ლუდი.

**თარაზულად:** 6. ალმასი; 8. კრიტიკა; 9. კამვოლი; 10. ბაღდათი; 12. კეჩუა; 13. ალიბი; 14. კარაბინი; 19. „ოჯალეში"; 21. ლენგლი; 23. დრამი; 24. ეფენდი; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

## შალვა დოლბაიას ხსოვნას!

ორმოცი ცრემლიანი და ტკივილიანი დღე გავიდა, საყვარელო შალვა ნათლია, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლეთ თქვენს საყვარელ მეუღლესთან — უსაყვარლეს, გარეგნობითა და სულითაც ლამაზ ქალბატონ ნათლია თაფო ჭითანავასთან!

თქვენ დატოვეთ თქვენი ერთადერთი, ყველასთვის საყვარელი და საამაყო ვაჟის, ალეკოს ლამაზი ოჯახი, რომლებსაც ძალიან ენატრებით!

თქვენ გახლდით საუკეთესო მეუღლე, განსაკუთრებული მამა, უსაყვარლესი ბაბუა-ბაბულიკა გვანცასა და თათულის, რომლებიც თვალცრემლიანნი გიხსენებენ დიდი სიყვარულით!

თქვენი დიდი სითბო, ჰუმანურობა, გულისხმიერება, ინტელექტი, უსაზღვრო იუმორი დაგვაკლდა ახლობლებს! ასევე თვალცრემლიანნი გიხსენებენ თქვენ მიერ აღზრდილი თაობები! თქვენ გახლდით სიცოცხლისა და სიყვარულის ეტალონი!

ძალიან დაგვწყვიტეთ გული, გვაკლიხართ და გვენატრებით! ნათელში გამყოფოთ ღმერთმა, ნათლიებო!

ნათლული კუსუნა მზარელუა, გოჩა მზარელუა

ემირ წყაროზია ოჯახით უღრმეს მწუხარებას გამოთქვამს

**გურამ ლექავას**

გარდაცვალების გამო.

შალვა ყარმაზანაშვილი, ნუგზარ ყარმაზანაშვილი, ალე ფოცხვერაშვილი, შაქრო ფოცხვერაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას განვიცდით

**გივი ფოცხვერაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ტკბილად იძინე მშრომელო, პატიოსანო გივი!

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ
ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბპბც
უფჳლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2426

ევრო — 2.5449

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5498

100 რუსული რუბლი 4.1752

## ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის






## კალეიდოსკოპი

### კონჩიტა გაშიშვლდა



ავსტრიელი მომღერალი ტომ ნოივირტი, რომელიც უფრო მეტად კონჩიტა ვურსტის ფსევდონიმითაა ცნობილი, ჟურნალ როლინ სტოუნის გერმანული ვერსიისთვის გაშიშვლდა. ასევე ახალ ნომერში, რომელიც გაყიდვაში ივლისში გამოვა, დიდი მასალა იქნება დაბეჭდილი, სათაურით „კონჩიტა ვურსტის მეორე ცხოვრება“.

ტექსტის ავტორია ჟურნალისტი ლაურა ევერტი. მასალას ახლავს სტატიები გენდერულ სახეებზე პოპ-კულტურაში. ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნდება მასალები ბობ დილანზე, ბითლზებზე, ჯეიმს ბრაუნსა და არნოლდ შვარცენეგერზე.

### ამერიკაში ნოეს ბიბლიურ კიდობანს აშენებენ



ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ვილიამსთაუნში ნოეს ბიბლიური კიდობანის ასლის მშენებლობა დაიწყეს. მისი დასრულება 2016 წლის ზაფხულისთვისაა დაგეგმილი.

ამ ნაგებობის აგების შემკვეთი ქრისტიანული საზოგადოება „ცხოვრების პასუხებია“. ორგანიზაციის პრეზიდენტის კენ ჰემის თქმით, გეგმის თანახმად, კიდობანს ყოველწლიურად ორ მილიონამდე ადამიანი მოინახულებს.

— ვფიქრობ, რომ კიდობანი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობად იქცევა, — განაცხადა კენ ჰემმა.

ჰემმა ასევე აღნიშნა, რომ ნაგებობა ბიბლიაში აღწერილი ზომების მიხედვით აიგება. სულ კიდობანში 4 სართული, ხოლო მისი სიგრძე 115 მეტრი იქნება. პირველ სამ სართულზე ექსპოზიციები განთავსდება, რომლებიც ბიბლიურ ისტორიებს მიეძღვნება, ხოლო მეოთხეზე რესტორანი იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ბრაზილია პარაგვაის წინააღმდეგობის დაძლევას შეეცდება




კოპა ამერიკა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და უკვე ყველა შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ნეიმარისთვის კოპა ამერიკა დროზე ადრე დასრულდა, ბრაზილიის ნაკრები მაინც ითვლება ამ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად. მსოფლიოს 5 გზის ჩემპიონები მეოთხედფინალში პარაგვაის დაუპირისპირდებიან, რომელიც თავისი დაცვითი ტაქტიკით და დისციპლინით გამოირჩევა.

ერთი შეხედვით, ბრაზილია ამ წყვილის აშკარა ფავორიტია, მაგრამ ზუსტად ასე ფიქრობდნენ 4 წლის წინაც, როდესაც ეს ორი ნაკრები მაშინდელი კოპა ამერიკის მეოთხედფინალში შეხვდა ერთმანეთს. მაშინ ბრაზილიის ნაკრებმა ვერა და ვერ შეძლო პარაგვაის ორგანიზებული დაცვის გარღვევა და შეხვედრა 0-0 დასრულდა. საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა მატჩის შემდგომმა თერთმეტმეტრიანმა დარტყმებმა გამოავლინა, სადაც ბრაზილიის ნაკრებმა ვერცერთი პენალტის გატანა ვერ შეძლო. 2011 წელს პარაგვაის ნაკრები კოპა ამერიკის ფინალშიც გავიდა, სადაც ურუგვაის წინააღმდეგობის ვერ დაძლია და გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა 0-3.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ლაშა კასრაძე ხიზანიშვილსა და დინამო-გაბალას წყვილზე საუბრობს



ქართველი ფეხბურთელი ლაშა კასრაძე ბაქოს „ინტერში“ ასევე აზერბაიჯანული „აზალიდან“ გადავიდა. ამჯერად ახალგაზრდა ფეხბურთელს მეწყვილედ საკმაოდ გამოცდილი ზურაბ ხიზანიშვილი ეყოლება, რომელმაც „სამტრედია“ დატოვა და სამეზობლოს მიაშურა სათამაშოდ.

კასრაძესთან ინტერვიუ აზერბაიჯანულ მედიაში გამოქვეყნდა.

— ***„ინტერში“ თქვენი გადასვლა მოულოდნელი აღმოჩნდა.***

— ასე ვერ ვიტყოდი. მიმიწვიეს და გადავედი. კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ამ სეზონში „ინტერს“ ახალი შემადგენლობა ეყოლება. ვემზადებით და მალე ევროპალიგაზე ვითამაშებთ.

— ***„ინტერს“ ფინანსური პრობლემები აქვს, თუმცა ამ კლუბში მაინც გადახვედით.***

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



მასპინძელი სტუმარს კედელზე დაკიდებულ ვეფხვის ტყავს აჩვენებს და ეუბნება:

— ინდოეთში მოვინადირე. რაღაც მომენტში საკითხი ისე დადგა, რომ ან მე უნდა ვყოფილიყავი და ან ის.

— სწორი არჩევანი გაგიკეთებია, კედლის მოსართავად ვეფხვის ტყავი სჯობია.

●●●

კაცმა იაპონიაში სათვალე შეიძინა, რომელიც ხალხს შიშველს აჩვენებს. დადის ქუჩაში და ყველას შიშველს ხედავს. სახლში დაბრუნდება, ოთახში შევა და ხედავს ცოლი და ვიღაც კაცი შიშვლები სხედან. კაცმა სათვალე მოიხსნა, ისევ შიშვლები არიან, ისევ გაიკეთა, ისევ მოიხსნა, სურათი არ იცვლება.

— ეჰ, გაფუჭდა, ამის დედა ვატირე, — ჩაილაპარაკა დანანებით და სათვალე გადააგდო.

●●●

კაცი მანქანის რეცხვას ნომრიდან დაიწყებს. მეზობელი დაინახავს და ეუბნება:

— მასე მანქანის გარეცხვა სად გაგონილა. ზევიდან, სახურავიდან უნდა დაიწყო და ქვევით ჩამოხვიდე.

— ჰო, იმ დღესაც მასე დავიწყე და მერე სხვისი მანქანა აღმოჩნდა.

●●●

სოფლელი ქალაქში ბორდელში მივა, ფულს გადაიხდის და შევა გასართობად. ქალმა დაუწყო ხვევნა, ალერსი. კაცმა ვეღარ მოითმინა და ეუბნება:

— დედა, თუკი ასე ძლიერ გიყვარდი, ფულს რაღაზე მახდევინებდი?!

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## მგზავრებმა“ დაზარალებულ თბილისს ჰიმნი დაუწერა

ჯგუფმა „მგზავრებმა“ სტიქიის შედეგად დაზარალებულ თბილისს ახალი სიმღერა მიუძღვნა. „ძალა ერთობაშია“ — ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელზეც კლიპი უკვე გადაღებულია. მისი რეჟისორი კი რამაზ ჩხიკვაძეა. სიმღერას „მგზავრებთან“ ერთად სალომე ბაკურაძე, თიკა მახალდიანი, რამაზ კურტანიძე, ვიქტორ სანიკიძე, დუტა სხირტლაძე, ნინო გაჩეჩილაძე და რიგითი მოქალაქეები ასრულებენ. ვიდეო რგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მაყურებელში დიდი მოწონებითაც სარგებლობს. „მგზავრებმა“ კი საქართველო უკვე დატოვა და ორკვირიან საგასტროლო ტურნეში გაემგზავრა.

ეკა ირემაშვილი



## მამულიჩა კონკურსანტებს შეაფასებს



ლელა წურწუმიას მეუღლე და პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა კონკურსანტებს შეაფასებს. „შენი შანსი“ — ასე ეწოდება ახალ გასართობ გადაცემას, რომელიც კომედი არხმა დაიწყო.

გადაცემის წამყვანი მსახიობი ნათია წიწილაშვილია, რომელიც მაყურებელმა სერიალიდან „ჩვენი ოფისი“ გაიცნო. ჟიურის წევრები კი მამულიჩასთან ერთად დიზაინერი ზალიკო ბერგერი და მომღერალი ნინა წკრიალაშვილი არიან.

გადაცემაში შეზღუდვები არ არსებობს, მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია როგორც სიმღერით, ასევე ცეკვით, ლექსების მხატვრული კითხვით. ჟიურის რჩეული ფინალში გადავა, სადაც გამარჯვების შემთხვევაში სოლიდური პრიზი გადაეცემა.

ეკა ირემაშვილი

## ნიკა ცისკარიძე თბილისში ჩამოდის



ცნობილი ქართველი ბალერონი ნიკა ცისკარიძე თბილისში ჩამოდის. 29 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ბალეტის სახელგანთქმულ არტისტთან, რუსული საბალეტო აკადემიის რექტორ ნიკა ცისკარიძესთან შეხვედრა გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება მისი სასცენო მოღვაწეობის შემაჯამებელი ფოტოალბომი „ცისკრის ვარსკვლავი“.

ნიკა შეკრებილ საზოგადოებას თავისი მდიდარი საარქივო ჩანაწერებიდან მათთვის სასურველ სპექტაკლს აჩვენებს და შეკითხვებზე ჩვეული პირდაპირობით გასცემს პასუხებს.

ხელოვანი საჩუქარს უმზადებს ხელოვნების სასახლესაც. იგი სახელოვანი თანამემამულის სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილ პრინც დეზირეს კოსტიუმს სპექტაკლ „მძინარე მზეთუნახავისთვის“ ხელოვნების სასახლეს გადასცემს.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი ძვირადღირებული გამოცემა, რომელსაც ბალეტის მოყვარულები და ნიკა ცისკარიძის თაყვანისმცემლები დიდი ხანია ელოდებიან, ფასდაკლებით გაიყიდება. შემოსული თანხა მთლიანად ფონდ „სოლიდარობის“ ანგარიშზე გადაირიცხება. მემუარული ფოტოალბომი საჩუქრად გადაეცემა ყველა მუზეუმსა და ბიბლიოთეკას.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილ შეხვედრაზე დასწრება კი ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ეკა ირემაშვილი

**შვეულად:** **1.** მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა; 2. პატარა მოთხრობა; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ხარის, კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. რადიაქტიურობის საზომი ერთეული; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

**თარაზულად:** 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. ისლამისტთა ულტრა-ნაციონალისტური ორგანიზაცია; 11. ფრანგი ფილოსოფოსი; 12. ბალეტ „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. სტადიონი მეხიკოში; 15. თევზის კვერცხები; 16. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

